გაზეთი ზივრის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№140 (747) 7 - 9 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## გიგა ბოკერია ელჩების გამოწვევის სანაცვლოდ ბაჩო ახალაიასა და დაპატიმრებული ჩინოვნიკების გათავისუფლებას ითხოვს!

გვ. 2

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გამართულ შეხვედრებზე გიგა ბოკერია არწმუნებდა ივანიშვილის გუნდს, რომ „ნაციონალები“ მზად იყვნენ თანამშრომლობისთვის ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებში. მაშინ ერთ-ერთ ასეთ საკითხად დასახელდა ელჩების უმტკივნეულოდ გამოწვევა რამდენიმე ქვეყნიდან, მათ შორის იყო ბელგია, დიდი ბრიტანეთი და გერმანია.

---

საინტერესოა, უნდა გაჩნდეს თუ არა გონივრული ეჭვი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ქ-ნ გაბრიელა ჰაბსბურგ-ლოტრინგენის ობიექტურობისა, როცა, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ 2012 წლის 2 ოქტომბერს გახდა იგი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი

## პატიმარი ჯემალ ხახუტაიშვილი ბრალს სდებს

### ძმებ კოდუებს, თამაზ გაიაშვილს, დავით ტყეშელაშვილს, გიორგი კარბელაშვილს...

გვ. 6

# სკანდალური ინტერვიუ, რის გამოც გივი თარგამაძეს დაიჭერენ!

## ახლა ოპოზიციაში ვარ და ჩემთვის ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი!



მე არ მჯერა შეთქმულების თეორიების და იმისა, რომ ბიძინა რუსების პროექტია. რუსები ბევრად სუსტები და დებილები არიან და მათ ასეთი რაღაცის დაგეგმვა არ შეუძლიათ

გვ. 3–4

არ დავუშვებ, პრორუსული ძალების რევანშს, არ დავუშვებ, რუსთაველზე რუსეთის დროშის ფრიალს, სულს ამოგხდით!

რაც შეეხება იგორ გიორგაძის განცხადებას 4 მილიონზე, მის „კაგებეშნიკურ“ სიტყვებზე კომენტარს არ გავაკეთებ. იმის არ იყოს, პატარა რომ ვიყავი და ბიჭი გავაუპატიურე. ესეც იგორია!

ნაცვლიშვილი არის მარტო აწმყო, ყოველთვის — ეს ის აწმყოა, რომელშიც „იჩხირავს“, რომელშიც რუსების კაცია, მისი უფროსი პირდაპირ გვეუბნებოდა, რუსეთის ვარ, დამტოვეთ. არ დავტოვეთ და ახლა ეგ გამოგვიგზავნეს

ანა დადიანი

# გიგა ბოკერია, ელჩების გამოწვევის სანაცვლოდ, ბაჩო ახალაიასა და დაპატიმრებული ჩინოვნიკების გათავისუფლებას ითხოვს!

1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ, თითქოს ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ოცნება — ერთხელ მაინც დაშვებულიყო პრეცედენტი არჩევნების გზით ხელისუფლების უსისხლოდ შეცვლისა — ახდა. თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით — სიმშვიდისა და კონსტრუქციულობის საბურავით შემოსილმა „ვარდების ხელისუფლებამ" საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო სისტემებში არაერთი ნაღმი ჩატოვა, რაც აგერ უკვე სამი თვეა, საერთაშორისო თუ საშინაო სკანდალის სახით, რიგ-რიგობით ფეთქდება. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ნაღმი აღმოჩნდა საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა საქმიანობის, ცხოვრების სტილისა და აბსოლუტური უუნარობის შედეგი გახლდათ ის, რომ აგერ უკვე რვა წელია, საქართველოს „ნაციონალური ხელისუფლება" და პირადად მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ფიარში მილიონობით დოლარს ხარჯავს.

**„ვერსიის" კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის გამართულ შეხვედრებზე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია არწმუნებდა ივანიშვილის გუნდს, რომ „ნაციონალები" მზად იყვნენ თანამშრომლობისთვის ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებში. მაშინ ერთ-ერთ ასეთ საკითხად დასახელდა ელჩების უმტკივნეულოდ გამოწვევა იმ ქვეყნებიდან, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მათ შორის იყო ბელგია, დიდი ბრიტანეთი და გერმანია. სხვათაშორის, გიგა ბოკერიამ რამდენიმე რჩევაც კი გასცა ახალ კანდიდატებთან დაკავშირებით და, როგორც წყარო გვიამბობს, ისიც კი განაცხადა, სასურველი იქნება, თუ უმცირესობას არ მოუწევს კრიტიკა ამ საკითხებთან დაკავშირებითო.**

თუმცა, როგორც კი შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის პირველი საერთაშორისო ვიზიტი ევროპაში, ნათელი გახდა,



რომ ეს დაპირება მხოლოდ ბოკერია-სააკაშვილის სატყუარა იყო საერთაშორისო საზოგადოების თვალის ასახვევად, რადგან ევროკავშირში საქართველოს ელჩი სალომე სამადაშვილი და ნატო-ში საქართველოს ელჩი გეგა მგალობლიშვილი ბრიუსელში ჩასულ პრემიერ-მინისტრს აეროპორტში არ დახვდნენ. მეტიც, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, „ნატო-ში ჩვენი ელჩი მგალობლიშვილი წასულია პრაღაში სააკაშვილის დასახვედრად".

ამ სკანდალის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო მას შემდეგ გამწვავდა, რაც რამდენიმე დღის შუალედში სხვადასხვა ქვეყნის პრესტიჟულ გამოცემებში საქართველოს ხელისუფლების ირგვლივ შავი პიარი აგორდა, რომელიც „ვაშინგტონ პოსტის" სარედაქციო წერილით დაგვირგვინდა. თუმცა ამ ფაქტზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩების უუნარობის, სუსტი მუშაობისა და არაპროფესიონალიზმის შედეგია ის ფაქტი, რომ ნაციონალური ხელისუფლება უძლიერეს პიარკომპანიებს მილიონობით დოლარს უხდიდა. თუმცა ასევე საქართველოს ბიუჯეტიდან ასეულობით ათასი დოლარით აფინანსებდა ჩვენს ელჩებს, რომლებიც მხოლოდ იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ დღემდე ოპოზიციის, ხოლო „ნაციონალების" ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ხელისუფლების „კომპრომატებითა" თუ ცილისმწამებლური ინფორმაციებით აეჭრელებინათ მსოფლიო პრესა.

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა ან არ იცის, ანდა დაავიწყდა გიგა ბოკერიას პირით გაცემული პირობა ელჩების გამოწვევის შესახებ და მოგვიანებით, როგორც სჩვევია, მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნებით აღჭურვილმა ამგვარი განცხადება გააკეთა: „ჩვენი ელჩები სააკაშვილის კი არა, საქართველოს ელჩები არიან და სწორედ ქვეყნისთვის და არა რომელიმე პარტიისთვის მუშაობენ. ზუსტად ასე უნდა შევხედოთ მათ და არა — ეჭვის თვალით, ვისი დანიშნულია და ვინმეს ინტერესებს ხომ არ წარმოადგენს".

**არადა, საინტერესოა, უნდა გაჩნდეს თუ არა გონივრული ეჭვი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ქ-ნ გაბრიელა ჰაბსბურგ-ლოტრინგენის ობიექტურობისა, როცა, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ 2012 წლის 2 ოქტომბერს გახდა იგი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი**

ანდა, როგორ შეიძლება, არ გაჩნდეს ეჭვი ქალბატონი სალომე სამადაშვილის პროფესიონალიზმთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ივანიშვილის ვიზიტის გამო ატეხილი სკანდალის შემდეგ განაცხადა, „მე ვამზადებ პრეზიდენტის ვიზიტს, რომელიც ასევე საგანგებო რეჟიმში მიმდინარეობს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის ჩამოსვლას ეს ვიზიტი საელჩოს სხვა წარმომადგენლებმა მოამზადეს."

სხვათაშორის, ქალბატონი სალომე „ნაციონალებისგან" საკმაოდ „დაფასებული" ელჩი გახლავთ. პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, საქართველოს საელჩოსთვის ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგში, ასევე ევროკავშირთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობას 2010 წლისთვის 1 მილიონ 715 ათას 609 ლარი აქვს გამოყოფილი. სხვათაშორის, ამ დიპწარმომადგენლობაზე უფრო მეტი თანხა 53 საელჩოდან — მხოლოდ 5 მათგანს – ამერიკაში, ავსტრიაში, გერმანიაში, გაერო-სა და იაპონიაში ჩვენს წარმომადგენლობებს აქვთ გამოყოფილი. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ასეთი პრიორიტეტი მას პროფესიონალიზმის გამო მიანიჭეს. როგორც ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე ერთ-ერთ ინტერვიუში წერდა: „ქართველ დიპლომატთა უვიცობას ემატება მთავარი... ენის არცოდნა... ყველა ქართველი ელჩი ინკუბატორიდან გადმოსხმულივით ბურტყუნებს ინგლისურად... სწორედ იმ ენაზე, რომელიც კონტინენტურ ევროპაში შეიძლება ჩავთვალოთ, მხოლოდ და მხოლოდ გამოუსადეგარ ენად... საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიასა და ესპანეთ-პორტუგალიაში ინგლისური ენა ისევე გამოგადგებათ, როგორც ქართული... ამ ენაზე ევროპაში, პრაქტიკულად, არ მეტყველებენ... უფრო მეტიც, ფრანგები საშინლად ბრაზობენ, როდესაც ინგლისურად იწყებს ლაპარაკს დიპლომატი და პირდაპირ გეუბნებიან რომ, დიპლომატიური ენა გახლავთ ფრანგული და არა — ინგლისური. ქალბატონ სალომე სამადაშვილს, რომელსაც მე პირადად უდიდეს პატივსა ვცემ, ერთი პატარა ნაკლი აქვს, „ფრანკოფონი" არ არის. არადა, ბელგიის სამეფოში ფრანკოფონი ელჩის ყოლა, ჩემის აზრით, აუცილებელი და საკმარისი პირობა უნდა იყოს..."

მოკლედ, სააკაშვილის ელჩებისა და საქართველოს საელჩოებში შექმნილ ვითარებას „ვერსია" რამდენიმე ჟურნალისტურ გამოძიებას მიუძღვნის, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ 2007 წელს საქართველოს სრულუფლებიანი და მუდმივი ელჩი შვეიცარიაში ლევან მიქელაძე პროტესტის ნიშნად გადადგა. ეს იყო პოზიცია, პატრიოტიზმი და პროტესტი იმ რეჟიმისა, რომელიც დღეს ოპოზიციაშია და ვის პიარსაც დღევანდელი ელჩები ემსახურებიან. ალბათ, 1 ოქტომბრის შემდეგ, ყველა ელჩი ისევე მოიქცეოდა, როგორც კოტე გაბაშვილი, საპარლამენტო უმცირესობისა და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის გიორგი გაბაშვილის მამა, მაგრამ ეს ალბათ პიროვნულად გადასაწყვეტი საკითხია. არადა, ძველი და ახალი ხელისუფლების ანუ სამთავრობო ჯგუფების მოლაპარაკებიდან თითქმის 2 თვე გავიდა და უკვე ნათელია, ელჩების საკითხი სულ უფრო და უფრო ჩიხში შედის, ხოლო საქართველოს იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე ილახება.

**„ვერსიის" ინფორმაციით, სააკაშვილი იმ ელჩების გამოწვევას არ აპირებს, ვინც დღემდე თანამდებობაზე რჩება. გიგა ბოკერია ტაქტიკას ცვლის, მეტიც პოლიტიკურ შანტაჟზე გადადის — კულუარული ინფორმაციით, იგი უკვე უშვებს მესიჯებს იმის შესახებ, რომ იგი მზად არის, გამოიწვიონ ელჩები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბიძინა ივანიშვილი პატიმრობაში მყოფ მათი გუნდის წევრებს გაათავისუფლებს. მათ შორის კი, უპირველეს ყოვლისა ბაჩანა ახალაია იქნება.**

# საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები გიგი უგულავას წინააღმდეგ



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

## რა ბრალდებას უყენებენ ოპოზიციური ფრაქციების წევრები ქალაქის მერს და როგორი იქნება თბილისის 2013 წლის ბიუჯეტი

**უახლოეს დღეებში, დედაქალაქის საკრებულო 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილებებს დაამტკიცებს და 2013 წლის ბიუჯეტს მიიღებს. უგულავამ ბიუჯეტის პროექტები ისე განიხილა და გადაუგზავნა საკრებულოს წევრებს, რომ მერთან განხილვაზე საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციების წევრები არ მიიწვია. არადა, განაცხადა, ახალი ბიუჯეტის კანონპროექტი საკრებულოს წევრებთან განვიხილეო. ოპოზიციური ფრაქციების წევრები ამ ფაქტს უპატივცემულობად აფასებენ და აცხადებენ, „თბილისის ბიუჯეტის პარამეტრები, საბოლოო ფორმირებამდე, საკრებულოს ყველა ფრაქციასთან უნდა ყოფილიყო განხილულ-შეთანხმებული. თბილისმა 400-წლიანი ბატონობის შემდეგ, თბილისის ამირა 900 წლის წინ გადააგდო და ახალ ამირას ეს ქალაქი ვერ აიტანსო". საკრებულოში ბიუჯეტის პროექტი 1 საათის შესული იყო, როცა ფრაქცია „თავისუფლების" თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა ის ექსკლუზიურად გააცნო „ვერსიას".**

„ერთი თვის წინ, ქალაქის მერის მოთხოვნით, საკრებულოს მიერ ბიუჯეტიდან ამოღებულ იქნა 26 მილიონ ლარამდე თანხა სოციალური ხარჯების მუხლიდან. ცენტრალური ხელისუფლების სამართლიანი ზეწოლის საფუძველზე, 8 300 000 ლარით ზრდიან სოციალურ მუხლებს. ოღონდ ამ თანხაში 1 500 000 ლარს დასუფთავების სამსახურის მომსახურეობის დონის შესანარჩუნებლად უმატებენ. ეჭვი გვაქვს, რომ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს დასუფთავების სამსახურის ხარჯვით ნაწილში. დანარჩენი თანხა გადანაწილებულია სოციალურ მუხლებში, თუმცა ძალიან ბევრი მუხლი ამოღებულია", — აცხადებს ირაკლი შიხიაშვილი.

2012 წლის დეკემბრის ბიუჯეტში დამატებით გამოყოფილი 8 მილიონი ასე უნდა გადანაწილდეს: სოციალურად დაუცველი ოჯახების კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახადების პროგრამა 491 500 ლარით დაფინანსდება; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე, ყოველთვიური დახმარების პროგრამის სახით, 750 000 ლარია გამოყოფილი. ანუ, ასეთი ოჯახები თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 25-ლარიან დახმარებას მიიღებენ; სხვა კატეგორიის სოციალური სერვისების მიწოდებისთვის 1,158 500 ლარი გამოიყო. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათიან ფასად პირთა მომსახურეობის პროგრამისთვის 5 900 000 ლარი დაიხარჯება.

საქონელსა და მომსახურებას შეუმცირდა ბიუჯეტი 2 მილიონი ლარით. კულტურის სესხის მომსახურება და ვალის დაფარვა შემცირდა 5 მილიონი ლარით. ის მომავალი წლის ბიუჯეტში გადაიტანეს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონს შეუმცირდა ბიუჯეტი 155 000 ლარით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს სხვადასხვა გამგეობებში შეუმცირდა თანხები: 50 000 ლარით დიდუბე ჩუღურეთს; ვაკე-საბურთალოს — 200 000 ლარით; დიდგორის რაიონს — 8 000 ლარით.

რაც შეეხება 2013 წლის ბიუჯეტს, ის 640 მილიონი ლარია. აქედან ყველაზე მსუყე ლუკმა საბინაო კომუნალურ მეურნეობას შეხვდა. მისი ბიუჯეტი 196 154 000 ლარია; სოციალური დაცვა — 131 229 700 ლარი; ეკონომიკურ საქმიანობაში მერია 102 672 500 ლარს დახარჯავს; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის — 23 800 000 ლარს; დასვენებასა და კულტურას — 19 607 700 ლარი შეხვდა; საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობაში 61 674 000 ლარი დაიხარჯება; გარემოს დაცვას 25 010 000 ლარი მოხმარდება; ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უშიშროებას — 17 955 300 ლარი შეხვდა.

ფრაქცია „თავისუფლების" თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილის განმარტებით შესაძლოა, რაღაც ცვლილებები იყოს ვინაიდან: „ჯერ გადაწყვეტილი არ არის ტრანსფერის ოდენობები, თუ რას აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი და რას წაიღებს თავისთან ხარჯვით ნაწილში. ეს ბიუჯეტი საკმაოდ მძაფრი განხილვის საგანი იქნება. თბილისის საკრებულოს უმრავლესობას არ მივცემთ საშუალებას, ისეთი ხვრელები დატოვონ, რომელსაც მერე მოსახლეობისთვის გაუგებარი მიზნებისთვის ან დაფარულად გამოიყენებენ."

საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი, უგულავას მიერ დაანონსებულ, მერიის სტრუქტურებში მომუშავეთათვის ხელფასების 20%-იანი ზრდის თემასაც შეეხო. „ვერსიასთან" საუბრისას მან უგულავას კიდევ ერთი „დაპირება" განიხილა, რომელიც თითოეული ოჯახისთვის 100-ლარიანი და სოციალურად დაუცველთათვის 250-ლარიანი ვაუჩერების დარიგებას ეხება. შიხიაშვილის განცხადებით: „ხელფასების ზრდა ბაღის პედაგოგებისთვის კარგია, მაგრამ ანაზღაურებას, ძირითადად, მერიის სტრუქტურაში მომუშავე ადამიანებს უზრდიან. გიგი უგულავა რაღაც სიკეთეების შეთავაზებებით ცდილობს, ის გუნდი, რომელიც მას მერიაში ჰყავს, შეინარჩუნოს, ბზარი არ გაუჩნდეს და უფრო მეტად უერთგულონ მას. ამ უსამართლო „ნაცმოძრაობას" ნულის ტოლის პერსპექტივა აქვს. ხალხი არჩევანს მათ სასარგებლოდ აღარ გააკეთებს. 100-ლარიანი და 250-ლარიანი ვაუჩერები ვერ უშველის! „ნაცმოძრაობას" ყოველთვის ახასიათებდა კარგი ფრაზებით და ვითომ კარგი ნაბიჯებით მოსახლეობის მოტყუება. სლოგანს იღებენ ყველაზე საუკეთესოს და მოქმედებენ ყველაზე ცუდად. სარგებლობენ იმედით, რომ მოსახლეობა ვერ მიხვდებოდა მათ ფანდს. მაგრამ, მოსახლეობა მიხვდა. ვაუჩერების დარიგებით კიდევ ერთხელ ცდილობენ ხალხის მოსყიდვას მაშინ, როცა ხალხმა ხმა მათ დანაპირებ 1000-ლარიან ვაუჩერებს არ მისცა, მაინც სატყუარას უგდებენ და ძველი მეთოდებით მოსახლეობის გულის მოგებასა და კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას ცდილობენ".



ნინო კომახიძე
პოლიტიკა



# სკანდალური ინტერვიუ, რის გამოც გივი თარგამაძეს დაიჭერენ!

**5 დეკემბრიდან ქვეყანასა და წინა ხელისუფლებას უკვე 200-ზე მეტი პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი ჰყავს! საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი დადგენილება მიიღო „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ და 190 ადამიანს პოლიტპატიმრის, 25 ადამიანს კი პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა. მართალია, „ნაციონალური მოძრაობა“ მთელი თავისი რიტორიკული ხელოვნების გამოყენებით ეწინააღმდეგებოდა დადგენილების ძალაში შესვლას, მაგრამ ბოლოს, მათაც ჩაიქნიეს ხელი, ნელ-ნელა დარბაზი დატოვეს და ღილაკს „წინააღმდეგ“ ხელი მხოლოდ 14-მა „ნაციონალმა“ დააჭირა. ხმაურიან სხდომაზე გამორჩეულად ხმაურიანი გივი თარგამაძე იყო, რომელიც მისთვის ლიმიტირებულ დროში ვერ ჩაეტია და სხდომათა დარბაზიდან გამოსულმა თავისი კიდევ უფრო ხმაურიანი და სკანდალური გამოსვლა „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში გააგრძელა:**

— **200-ზე მეტი პოლიტდევნილი და პატიმარი სულ რაღაც 25 დაჭერილი „ნაციონალის“ წინააღმდეგ – თქვენი პირველი შეფასება ამ სიაზე ძალიან მწვავე იყო, თუმცა ახლა აღნიშნეთ, კარგია, „კოჭოია“ სიიდან რომ ამოიღესო.**

— „კოჭოია“ არ მაინტერესებს, ვააგნ ჩახალიანი რომ არ ამოეღოთ, გარწმუნებთ, როგორც კი ეს კაცი ციხიდან გამოვიდოდა, ახალქალაქში მაშინვე შეუქცევადი პროცესები დაიწყებოდა. ასე რომ, მგონი, მაინც დავარწმუნეთ, ეს კაცი სიიდან ამოეღოთ.

— **„ოცნებასთან“ ხალხის სიიდან ამოღებაზე საუბარი მიდიოდა?**

— დიახ, რა თქმა უნდა, მიდიოდა.

— **შემთხვევით, ოქრუაშვილიც თქვენ ხომ არ ამოაღებინეთ სიიდან?**

— ოქრუაშვილი, საერთოდ, არ მაინტერესებს.

> **მე ამ კაცთან ურთიერთობა ჯერ კიდევ იმ დროიდან მაქვს, ვიდრე ის ქვეყანას უღალატებდა. რაღაც მინიშნებები იყო, რომ ამას აპირებდა. მე და ოქრუაშვილმა ამ თემაზე ვილაპარაკეთ, ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამდა. ვუთხარი – ამას თუ გააკეთებ, ამის მერე ჩემი მტერი გახდები-მეთქი. ჰოდა, როცა გადადგმა დააპირა, მითხრა, ვიცი, მტერი რომ ვიქნებიო. ეს ამბავი ძალიან ადრე მოხდა — მაშინ, როცა ის ბადრი პატარკაციშვილთან წავიდა. მას მერე ეს ადამიანი აღარ მაინტერესებს, თუმცა მისი სხვა მოქმედებები მეტ-ნაკლებად ჯდებოდა „შიდამოღალატეობის“ ჩარჩოში, მაგრამ მერე მართლა კლასიკა გააკეთა – რუსებთან ჩავიდა და დოკუმენტურ ფილმში საქართველოს რაღაცები დააბრალა. ეს აბსოლუტური ღალატია, ამიტომ ისიც კი მზარავს, რომ დღეს ეს ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზეა. ციხეშია თუ სადაცაა, თავად მისი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტი უკვე საზიზღრობაა!**

— **ოქრუაშვილი ციხეში დატოვეს, არც სიაში შეიყვანეს, მაგრამ იმ ხალხზე რას იტყვით, ვინც სტატუსი მიიღო?**

— მე თუ მკითხავთ, ეგ სიები უნდა დახიო და გადაყარო! ვინ დააწესა, რომ ეკა ბესელია და ნანა კაკაბაძე, რომელსაც რაღაც „ენჯეო“ აქვს, რაღაც სტატუსებს ადგენენ?! ამათ ვინ ეკითხება, ან რომელი კანონის მიხედვით მოხდა ეს ყველაფერი? უბრალოდ, მოვიდა ახალი ხელისუფლება და ასე გადაწყვიტა – ეს რა, რევოლუციაა, თუ რა ხდება?!

— **გეტყვიან, რომ ეს პროცესი საზოგადოების ფართო სპექტრის მოთხოვნით დაიწყო.**

— ეს საზოგადოების მოთხოვნა არ არის – არ არსებობს! მაშინ რატომ არ იყვნენ ამ პროცესში „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ — რა, მათ ნაკლები ინტერესი აქვთ საზოგადოების მოთხოვნებისადმი? ნანა კაკაბაძეს არც არავინ იცნობს და ფეხებზე ჰკიდია მთელ საზოგადოებას! მარტო იმის გამო, რომ ამათ ხელისუფლებაში მოსასვლელად ემსახურა, ახლა გახდა რაღაცის გადამწყვეტი? მართლა პაპუასები ვართ? ნანა კაკაბაძის მიერ გადაწყვეტილების მიღება საქართველოში მართლა პაპუასობაა!

— **რატომ გაქვთ მის მიმართ ასეთი აგრესია, იქნებ რამე ისეთი იცით, რაც სხვებმა არ იციან?**

— რა შუაშია ერთი ცალი „ენჯეოს“ აზრი, არ მესმის! ჩახედეთ სიაში მეშვიდე ნომერს – ზვიად ბერაძე არის ადამიანი, რომელიც კაცისკვლაზე წავიდა, უბრალოდ, ის კაცი, შემთხვევით, ცოცხალი გადარჩა. როგორც ნანა კაკაბაძემ განაცხადა, მისი ამ სიაში შეყვანის ერთადერთი საფუძველი ისაა, რომ ჩემი ძმის მეგობარია და ეს საკმარისიაო! ზუსტად ასეა და ჰკითხეთ კაკაბაძეს, რატომაა ეს ადამიანი სიაშიო. სხვას, უბრალოდ, ვერაფერს გიპასუხებთ. აქ, ამ სიაში ისეთი გვარები წერია, რომლებიც მე, უბრალოდ, არ ვიცი, ვინ არიან! ახლა ავდგები, ასეთივე სიას გავაკეთებ, ყველას მივაწერ, რომ მათ ნანა კაკაბაძე ფულს სძალავდა და შევიტან ამ სიას პარლამენტში. მერე ამით რა, შეიცვლება რამე?

— **ფაქტები გაქვთ, ასეთ მძიმე ბრალდებას რომ უყენებთ კაკაბაძეს?**

— და ამ ხალხის პოლიტდევნილად აღიარებისთვის საკმარისი ფაქტები არსებობს? არაფერიც არ არსებობს!

— **ამ სიაში შეტანილი ყველა პარტიის წარმომადგენელსა თუ მოვლენის მონაწილეზე იგივე განწყობა გაქვთ — 26 მაისზეც, „მუხროვანის“ ბუნტზეც, „ყინწვისის საქმეზეც“?**

— „მუხროვანის“ ამბოხი ჩემთვის საერთოდ ამაზრზენი მოვლენაა. როგორ შეიძლება, საერთოდ ამ თემის აჟიტირება, რა, მაინცდამაინც უნდათ, „გაიჩალიჩონ“?

— **ვინ რა უნდა უნდა „გაიჩალიჩოს“?**

— შევარდნაძის დროს ხომ მოაწყო ბუნტი კობა ოთანაძემ, ჩვენს დროსაც მოაწყო, ახლა ამათ დროსაც უნდა მოაწყოს? მაშინ მოდი, შემოვიღოთ ვლადიმერ პუტინის სახელობის ორდენი და გადავცეთ ამ კაცს. ხომ ამბობს, გმირი უნდა ვიყოო! ეგ კაცი რეციდივისტია ამბოხებების ამბავში – ეგ და გია კრიალაშვილი, რომელიც გარდაიცვალა. მთელი ის დეგენერატობები, რასაც ლაპარაკობდნენ, დიდი სისულელეა – გვამს ფეხებს ურტყამდა, ოთანაძეს მაჯები დაუხვრიტაო. საიდან მოიტანეს, საერთოდ?!

> **„ვარდების რევოლუციის“ მერე ოთანაძემ პირდაპირ მითხრა, დამიბრუნეთ სპეცნაზი „ალფა“, რომელიც იყო იგორ გიორგაძის და მე, როგორც რუსების კაცი, ვეცდები, ურთიერთობები დაგილაგოთო. ეს პირდაპირ ვალერი ხაბურზანიას გზის გაგრძელება იყო, რომელმაც იგივე თქვა – მე რუსების კაცი ვარ და დამტოვეთო. მერე პუტინმაც უთხრა პრეზიდენტს, მართლა ჩვენი კაცია და დატოვეთო. ახლაც გრძელდება ეს ისტორია – ხაბურზანიას მოადგილე იყო ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც ახლა მთავარი პროკურორის პირველი მოადგილეა და ახლა გამოუშვებს ოთანაძეს!**

— **და ამით რას ამბობთ, ნაცვლიშვილის გადაადგილება შს სამინისტროდან კბილაშვილთან ოთანაძის გამოსაშვებად მოხდა?**

— რა თქმა უნდა! კბილაშვილი მაინც ადვოკატია, მისთვის ეს სიმხეცეები მისაღები არ არის. ასეთი რამეები არც შევარდნაძის დროს ხდებოდა. ეს ყველაფერი ახლა მათ ბიძინამ დაავალა, რადგან კბილაშვილს რაღაც მორალი მაინც აქვს.

> **დარწმუნებული ვარ, მორალი თეა წულუკიანსაც აქვს. კი ლაპარაკობს „ბლატნოი“ სიტყვებით, მაგრამ საბოლოოდ, მისი მიზანი ევრომოსამართლეობაა და ბოდიში, მაგრამ ამ ქაქით იქამდე ნამდვილად ვერ მივა, ამიტომ იქ ისეთი ადამიანი დანიშნეს, ანუ ნაცვლიშვილი, ვინც ყველანაირი ქაქით მივა, სადაც გინდა! ეს კაცი წაიღეს, დადეს იქ და დამარცვლით მოგვიყვნენ, რატომ ჩააბარეს ყველაფერი — მაგას აწი, არც წარსული აქვს, არც მომავალი. ნაცვლიშვილი არის მარტო აწმყო, ყოველთვის – ეს ის აწმყოა, რომელშიც „იჩხირავს“, რომელშიც რუსების კაცია, მისი უფროსი პირდაპირ გვეუბნებოდა, რუსეთის ვარ, დამტოვეთო. არ დავტოვეთ და ახლა გამოგვიგზავნეს ნაცვლიშვილი, რომლის ქვეშ, კიდევ კაცმა არ იცის, რამდენი ადამიანია. კბილაშვილი იქ უბრალოდ არის, როგორც სექსუალურად მომწიფებული კაცი. მე კი ახლა ოპოზიციაში ვარ და ჩემთვის ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი! რომ იცოდეთ, ეს სია ბოლომდე არც კი მინახავს, მაგრამ „გრეჩიხას“ პარტიას სიაში ერთი კონკრეტული კაცია, ვისზე ლაპარაკითაც ტვინი შეჭამეს. ეს კაცი „ჩაწოლილი“ ნარკომანია, „პეტუხას“ ეძახიან — მერაბ მაისურაძე ჰქვია. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ ეგ „გრეჩიხათია“ მაგ სიაში მოხვედრილი.**

— **ველარ გავიგე, ეს ვისი სიაა, კაკაბაძის, ნაცვლიშვილის თუ გაჩეჩილაძის?**

— ჩემი თვალთახედვით, პოლიტიკა აქ საერთოდ არაფერ შუაშია. თავშია ფული, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, იღებდა ნანა კაკაბაძე და ვერ ვამტკიცებ, მაგრამ ალბათ იღებდა ეკა ბესელიაც. მაგათ ახლა ხომ ისე აქვთ საქმე აწყობილი პროკურატურაში, რომ ერთი კაცი იტყვის ერთ სიტყვას და მორჩა.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# „ვარდების ხელისუფლების“ საბრალდებო დასკვნა და პირველი პოლიტიკური აქცია ქუთაისში, პარლამენტის წინ!




ანა დადიანი

ერთთვიანი კამათის, დაპირისპირებებისა და ბრალდებების შემდეგ, საპარლამენტო ისტორიაში პირველი პრეცედენტი დაფიქსირდა — საკანონმდებლო ორგანომ 190 პირს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, ხოლო 25 ადამიანს — პოლიტდევნილის. თუმცა მანამდე ქუთაისში, პარლამენტის ახალი შენობის წინ, პირველი პოლიტიკური აქცია გაიმართა პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სოლიდარობის ნიშნად. როგორც მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი აცხადებს, **„ამ პროცესში ჩვენც ვიყავით ჩართულები, სანამ პარლამენტის სხდომა დაიწყებოდა, გაიმართა პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სოლიდარობის აქცია. ასევე პარლამენტის სხდომას და საკითხის განხილვას სტუმრის სტატუსით ვაკვირდებოდით. „ნაციონალური მოძრაობა“ აქტიურად იბრძოდა, რომ დღეს პარლამენტს პოლიტპატიმრების საკითხი არ განეხილა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. პირველად გაიმართა აქცია ახალი პარლამენტის წინ, რაც იმის ნიშანია, რომ თუ სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების ინტერესების დაცვა არ მოხდება, ჩვენ ჩვეულებრივ რეჟიმში გავაგრძელებთ ბრძოლას“.**

სხდომა საკმაოდ ხმაურიანი იყო, თუმცა უმცირესობამ მრავალი მიზეზის დასახელების მიუხედავად, დადგენილების პროექტის მომავალი სესიისთვის გადადება ვერ მოახერხა. უმცირესობის წინააღმდეგობისა და კრიტიკის მიუხედავად, კანონმდებლებმა „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილების პროექტი 77 მომხრე ხმით 14-ის წინააღმდეგ დაამტკიცეს. უწყების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კი, მოგვიანებით, მხარეები საკუთარი პოლიტიკური გადასახედიდან აფასებდნენ. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „დღეს საქართველოს დიდი სირცხვილი ჩამორეცხეს“, ოპოზიცია აცხადებს, რომ „სია სამარცხვინოა და დადგენილება ჰუმანიზმში შეფუთული პოლიტიკური შურისძიებაა“, ხოლო უფლებადამცველები „ნაციონალური მოძრაობის“ საბრალდებო დასკვნაზე აპელირებენ.

6 დეკემბერს კი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ამნისტიის შესახებ კანონის განხილვა დაიწყო – პროექტის ავტორები კომიტეტის წევრებთან ამნისტიის პრინციპების განხილვას განაგრძობენ. გათავისუფლების შესახებ კანონი რამდენიმე ათასი მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემსუბუქებასაც ითვალისწინებს. ამნისტია შეეხება, პირველ რიგში, ქალებს, არასრულწლოვნებსა და ეკონომიკური დანაშაულისათვის გასამართლებულებს.

სწორედ ამნისტიის შესახებ კანონის ამოქმედების შემდეგ დატოვებენ პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე მსჯავრდებულებიც საპყრობილეებს. პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილთა შესახებ მიღებული დადგენილების ასამოქმედებლად ამნისტიის შესახებ კანონს სპეციალური მუხლი დაემატება. პირველ ეტაპზე მიღებული დადგენილებით, პოლიტპატიმრის სტატუსი 190-მა მსჯავრდებულმა, პოლიტდევნილისა კი 25-მა პირმა მიიღო.

# სკანდალური ინტერვიუ, რის გამოც გივი თარგამაძეს დაიჭერენ!

*მე-3 გვერდიდან*

**— ლევან პირველი, იგორ გიორგაძე, ლამის ყოველდღიურ რეჟიმში აანონსებენ საქართველოში დაბრუნებას, ესეც მართული პროცესია?**

— ეს ადამიანები დამტკიცებულად არიან ამ ქვეყნის მტრები და იმიტომ სურთ დაბრუნება, რომ ჰგონიათ, გზა ხსნილია. ჯერ არ ვიცი, რას გადაწყვეტს უმრავლესობა, კიდევ რაღაც თათბირებს ჩაატარებენ, მოწყდება თუ არა ამ ჯგუფს ვინმე, მაგრამ მთავარია, დარჩება ნანა კაკაბაძე და გედევან ფოფხაძე, რომლის აზრით, იგორი შესანიშნავი კაცია.

**ეს სიტუაცია ვითომ „ღადაობად“ ჩანს, მაგრამ ასეთმა უპასუხისმგებლობამ შეიძლება, ქვეყანა ერთ წუთში დაანგრიოს. თუმცა ჩვენ მხნედ ვართ და ვეცდებით, თუ ქვეყანამ ჩამონგრევა დაიწყო, სიტუაცია დავიჭიროთ.**

**— ახლა ამისთვის რა ბერკეტი შეგრჩათ?**

— ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ სიტუაციას სწორედ ჩვენ დავიჭერთ და არა ესენი. ჩვენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი ვართ, ესენი კი თავისთავის კაცები.

**— უმრავლესობა კი, უბრალოდ, დემაგოგებს დაგარქმევდათ.**

— რაც უნდათ, ის დაგვარქვან, მაგრამ თუ სახელმწიფოს ჩონჩხს რაღაც ბზარი გაუჩნდა, ამათ აღარ შევხედავთ და ვეცდებით, გავამთელოთ. როგორ შეიძლება, ერთ თვეში გადაიკიდო მსოფლიოს ნახევარი? რანაირად უნდა მოახერხო, გადაიკიდო ყველაზე ახლო მეგობრები აშშ, ევროპა და ზედ მიამატო თურქეთი, ისრაელი, ჩინეთი?

**— გააკეთეთ შეფასება ისრაელის კონფლიქტთან მიმართებაში საქართველოს პოზიციაზე, როცა ჩვენ აშშ-სა და სხვა მნიშვნელოვანი ქვეყნების საწინააღმდეგო პოზიცია დავაფიქსირეთ.**

— მე არ მჯერა შეთქმულების თეორიების და იმისა, რომ ბიძინა რუსების პროექტია. რუსები ბევრად სუსტები და დებილები არიან და მათ ასეთი რაღაცის დაგეგმვა არ შეუძლიათ. ახლა პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადა რომ ყოფილიყო, თვენახევარში მოგვიღებდა ბოლოს, ისეთი დასუსტებულია საქართველო. მოკლედ, ზედ გადაგვივლიდნენ, მაგრამ ბედმა გაგვიღიმა, მგონი, პუტინს ზურგი აწუხებს და ეს ფაქტი სასიხარულოა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი იყო უვიცობა, უმეცრება, ასეთი არაკომპეტენტურობა ყველა დონეზე საოცარია.

**ზვიად გამსახურდიას დროსაც კი, როცა ახსნა შეიძლებოდა, რატომ იყო ქვეყანაში ასეთი არაკომპეტენტურობა, ამგვარი მდგომარეობა მაშინაც არ იყო. ესენი კი ყოველგვარ ზღვარს არიან გადასულნი. ჩვენი ხალხი ხომ გამოყარეს, დასხდნენ თვითონ და „გაგნებაში“ არ არიან, როგორ უნდა ქვეყნის მართვა. კი, ბატონო, უხარია ამ ხალხს, რომ ჩვენებს იჭერენ, მაგრამ ამ დაჭერებსაც ხომ აქვს თავისი რესურსი? გავა ახალი წელი, გადაივლის ეს „პახმელია“ და ყველა დაინახავს, რომ ხელში მარტო დაჭერები შერჩათ. დაგვიჭირონ, მერე ჩვენ რა, არც გვეშინია, არც გვენაღვლება. ამის მერე კი მაინც არაფერს გააკეთებენ.**



**— თქვენ რა იცით წინასწარ, ხომ ამბობენ, ჯერ სამართლიანობას აღვადგენთ და მერე დანარჩენ საქმეებსაც მივხედავთო?**

— ერთი თვის მერე დაიწყეს ამაზე ლაპარაკი, ჯერ დაჭერები იქნება და რომ მოვრჩებით, მერე მივხედავთ საქმესო. ჰოდა, შევთანხმდით, დაიჭირონ 20 კაცი, მერე?

**— შეიძლება, 21-ე თქვენ იყოთ ამ ბრალდებების გამო.**

— არ მაინტერესებს და არ მენაღვლება. როგორც აქ ვიქნები, ისე ვიქნები იქაც. ბევრი მიპირებდა დაჭერას, მაგრამ ეს პრობლემა არასოდეს ყოფილა. მათი ყველა ნაბიჯი, უბრალოდ, უმეცრებაა და შეგვიძლია, პირველი უმეცრებიდან დავიწყოთ – ეტყობა, ბიძინას „ვაშინგტონ პოსტში“ ეგ სტატია პირველად წააკითხეს, თორემ მანამდე, სამი-ოთხი ეგეთივე სტატია იყო, ახლა ამან პირველად ნახა და მიიჩნია, რომ შეუძლია, მთელ მსოფლიოზე გაცხარდეს. შეებრძოლა მთელ მსოფლიოს და ერთის ნაცვლად, მიიღო სამი. ამ დროს, ეს ის გაზეთია, რომელმაც ჭორვილელი ბიძინა კი არა, ნიქსონი გადააყენა თავისი პოლიტიკური კარიერის პიკში. ამასობაში, ბიძინა აქ, ყველას მარტო ფულს კი არ შეპირდა, არამედ უთხრა, რომ მათი ოცნების ზედა ზღვარს დააკმაყოფილებდა. ყველაფრის შესრულება კი თოვლის ბაბუასაც არ შეუძლია და თოვლის ბაბუა რომ არსებობდეს, ეს ბიძინა ივანიშვილი არ იქნებოდა. კაცს შვიდი მილიარდი აქვს, დიდი ამბავი.

**— იმათთვის დიდი ამბავია, ვისაც ფონდ „ქართუდან“ სტიქიის შედეგად დანგრეულ სახლებს აღუდგენენ.**

— ზღაპრები, ზღაპრები-მეთქი! მე კიდევ ვეცდები, აღვადგინო ჩემი შესაძლებლობები საგამოძიებო ჟურნალისტიკაში. ძველ პროფესიას ახლა დავუბრუნდები, აბა, სულელი ხომ არ ვარ, ხელისუფლებაში ვიყო, „პლაკატები“ გავშალო და ვიშიმშილო. ადგილობრივ თვითმმართველობასთან მყოფი ხალხი კარვებს რომ შლის, ამის გამო შეიძლება სიცილით მოკვდე!

**— ჰოდა, ხომ დადიოდით მეზობელ ქვეყნებში და ყველგან რევოლუციებს გეგმავდით. ახლა აქ თავად ხართ ოპოზიციაში — იგივეს არ აპირებთ?**

— მე არ ვგეგმავ, ისინი გეგმავენ და მე ვეხმარები. მაქვს ტექნიკური ცოდნა და მიმაჩნია, ამ ცოდნის არგაზიარება, ღორობა იქნება.

**— რუსეთის, უკრაინის მოვლენები, როცა 2010 წელს ტიმოშენკოსთან შეხვედრა წამოგაძახეს და თქვეს, ამიტომ დაეცა მისი რეიტინგიო, ასევე ბელორუსის მოვლენები, როცა ლუკაშენკოს გადაყენება გდომებიათ 4 მილიონად.**

— ერთი წუთით! სინამდვილეში, ტიმოშენკო რუსებს რომ შეხვდა, მაშინ დაეცა მისი რეიტინგი, მე ვცდილობდი „ამომექაჩა“, მაგრამ არ გამომივიდა.

**ახლაც ვიმეორებ – ვეცდები, ყველას გადავცე ჩემი ცოდნა. რაც შეეხება გედევან ფოფხაძისთვის მშვენიერი ადამიანის, იგორ გიორგაძის განცხადებას 4 მილიონზე, მის „კაგებეშნიკურ“ სიტყვებზე კომენტარს არ გავაკეთებ. იმის არ იყოს, პატარა რომ ვიყავი და ბიჭი გავაუპატიურე. ესეც იგორია! მე მას შევპირდი, რომ როგორც კი საქართველოში შემოვა, მის ფეხქვეშ მიწა დაიწვება, ამათ რომც შემოუშვან, მე მაინც ყველაფერს გავაკეთებ, რომ დანაპირები ავუსრულო!**

**— ახლა გიორგაძე იტყვის, ლიკვიდაციით მემუქრებაო!**

— ვემუქრები, ოღონდ ფეხქვეშ მიწის გახურებით.

**— თუკი არაფერს აპირებთ, მაშინ რისთვის გვახსენებთ, რომ რევოლუციის ტექნიკას კარგად ფლობთ?**

— პირველად არ ვარ ოპოზიციაში, ამიტომ დისკომფორტს არ ვგრძნობ. ადრე ინტერვიუ „ნოვაია გაზეტას“ მივეცი. ამათ ბევრი უბოდიალიათ და ის ადგილი უნახავთ, სადაც ვთქვი, ხელისუფლება რაღაც ზღვარს თუ გაცდება, შეიძლება ახალგაზრდობა გავიხსენოთ-მეთქი.

**ჰოდა, რადგან ამ თემისადმი ასეთი დიდი ინტერესია, პირდაპირ თქვენ გეტყვით — რა თქმა უნდა, არის ზღვრები, რის მერეც, ჩვენ თუ ჩავთვალეთ, რომ ქვეყანა იღუპება, ახალგაზრდობას გავიხსენებთ, ოღონდ ამას მარტო ჩვენით ვერ გავაკეთებთ, როგორც მაშინ არ გაგვიკეთებია მარტო — ხალხიც ჩვენთან იყო!**

**— მერე თქვენი მაშინდელი და ახლანდელი მხარდაჭერა ერთია?**

— თუ აქამდე მივა საქმე, ხალხი ამ სიტუაციას თავის ხელში აიღებს და მათაც ისევე დავეხმარებით ტექნიკის ცოდნით, როგორც ჩვენს მეგობრებს. შესაბამისად, ავიღებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც! ეს ქვეყანა ბევრად ჩვენია, ვიდრე ივანიშვილის, რომელმაც სისხლიანი ფულები იშოვა ყაჩაღურ რუსეთში ბოდიალით და მერე თავის სოფელში ჩაჯდა.

**— და იქიდან გიგზავნიდათ ფულს!**

— არ გვიგზავნიდა, ეს ტყუილია და მე ამას დავამტკიცებ! ბიძინამ რაც დააფინანსა, ათი იმდენი აიღო უძრავ-მოძრავი ქონებით.

**— თქვენ რომ ბოტანიკური ბაღი გააჩეხინეთ მთაწმინდაზე, შუშის სასახლის ჩასადგმელად, ეგ ვისი ბრალია?**

— ეგ და არა მარტო ეს, ჩვენი ბრალია, ჩვენი შეცდომაა!

**— ბიძინა ივანიშვილი თქვენი პოლიტიკური შეცდომაა?**

— რა თქმა უნდა, ჩვენი შეცდომაა. ამიტომაც ვეთანხმები უმრავლესობის პათოსს და მოვითხოვ, ეს საქმეც, როგორც სხვა დანარჩენი, გენერალურ პროკურატურას გადავცეთ!

**— საზღვრებზე საუბრობდით — სად გადის ზღვარი, როცა ხვდები, რომ ახალგაზრდობა უნდა გაიხსენო?**

**— ზღვარი არის ქვეყნის სუვერენიტეტი. ბიძინა კი ისეთი ტემპით მიდის უკან, მის სადარაჯოზე ყველაზე მგრძნობიარე რადარივით ვიდგებით. ჩვენ ზღვარს არაფერში გადავალთ, ოღონდ, როგორც კი საფრთხე შეეხება ქვეყნის სუვერენიტეტს, ჩვენი დღის წესრიგი იმავე წამს შეიცვლება. რა თქმა უნდა, მიხსენებენ ფრაზას „სულს ამოგხდით“, მე კი ვამბობ — არ დავუშვებ, პრორუსული ძალების რევანშს, არ დავუშვებ, რუსთაველზე რუსეთის დროშის ფრიალს, სულს ამოგხდით!**

## ვერსიანიუსი

### ახალაიასა და კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნებისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ვერ გასაჩივრდება



თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის დათა ახალაიასა და კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნებისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ვერ გასაჩივრდება. როგორც „პირველს“ დათა ახალაიას ადვოკატმა, ირაკლი ზაქარეიშვილმა განუცხადა, მათ ამის ბერკეტი არ გააჩნიათ.

„იმისთვის, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გასაჩივრდეს, დათა ახალაიას ხელმოწერაა საჭირო. იგი საქართველოში არ იმყოფება და შესაბამისად, გასაჩივრებისთვის ბერკეტი არ გაგვაჩნია“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ასევე, როგორც ცნობილია, საქართველოში არ იმყოფებიან სოსო თოფურიძე, ოლეგ მელნიკოვი და გერონტი ალანიაც.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით ახალაიას, სოსო თოფურიძეს, ოლეგ მელნიკოვსა და გერონტი ალანიას, აღმკვეთი ღონისძიების სახით, დაუსწრებლად, პატიმრობა შეუფარდა. საქმე ეხება მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მუშაკთა ცემის ფაქტს.

აღნიშნული დანაშაულისთვის დათა ახალაიას ბრალი სსკ-ს 143-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144/1 მუხლის მე-2 ნაწილით (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურეობრივი უფლება-მოსილების გადამეტება) წარედგინა. იოსებ თოფურიძეს, გერონტი ალანიასა და ოლეგ მელნიკოვს ბრალი სსკ-ს 144/1 მუხლის მე-2 ნაწილით (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი უფლება-მოსილების გადამეტება) წაუყენეს.

*„პირველი“*

### გიორგი მარგველაშვილი: „სიცრუეა, თითქოს სტუდენტებს 500 ლარი დაურიგდებათ“



როგორც პრესკონფერენციაზე მინისტრმა აღნიშნა, ასევე სიცრუეა ისიც, თითქოს მან ძვირადღირებული ავტომანქანა შეიძინა.

მარგველაშვილის თქმით, მას საერთოდ არ ჰყავს თავისი მანქანა, სარგებლობს სახელმწიფო ავტომანქანით და მძღოლზეც კი უარი თქვა.

**„რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს, თითქოს მინისტრად დანიშვნიდან ორ კვირაში 100 000 დოლარი ვიშოვე, ღიმილის მომგვრელიც კია. თუ ვინმე ამიხსნის სქემას, ორ კვირაში როგორ უნდა იშოვო 100 000 დოლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ძალიან დამავალებს. ვიცოდე მაინც, რომ მერე სხვების კონტროლი შევძლო. ასევე მიწევს უარყოფა იმისა, თითქოს გია ნოდიას აგენტი ვარ. არ ვიცი, საიდან ვრცელდება მსგავსი ინფორმაცია, ვის ინტერესებს ემსახურება და ვინ ავრცელებს. კარგი იქნება, თუ ჟურნალისტები დაინტერესდებით სხვადასხვა მედიასაშუალებაში გავრცელებული მსგავსი ინფორმაციით და ლოგიკურ შეკითხვებს დასვამთ, ან ერთგვარ ჟურნალისტურ გამოძიებას ჩაატარებთ. ჩემთვისვე იქნება უკეთესი, თუკი სიმართლეს თქვენ დაადგენთ და მე აღარ მომიწევს აბსურდული ინფორმაციის უარყოფა“,** — აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა.

მინისტრის თქმით, გადაწყვიტა, უყურადღებოდ არ დატოვოს მედიასა და საზოგადოებაში გავრცელებული არასწორი ცნობები და სისტემატურად შეხვდეს ჟურნალისტებს სწორი ინფორმაციის მისაწოდებლად.

*„მედიანიუსი“*

# დავით ბეგიაშვილს ვანო მერაბიშვილმა ბიზნესი სომხური კომპანიის გამო დაათმობინა



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი, რომელიც შვეიცარიაში, დევნილობაში იმყოფება და ჰოლდინგური კომპანია „ვაკე 5“-ის, ასევე „ალბატროს ჯგუფის“ (ძვირადღირებული საიუველირო, შვეიცარიული ბრენდების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში) დამფუძნებელია, სასამართლომ უკვე გაამართლა. პროცესზე, რომელიც ორიოდე დღის წინ გაიმართა, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, რადგან დავით ბეგიაშვილის საქმეში არ არსებობდა დანაშაულის ნიშნები. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბეგიაშვილის მიმართ გაუქმდა ძებნა და რაც მთავარია, ყადაღა მოეხსნა მის კუთვნილ ქონებას. სასამართლოს განჩინება, რომელიც დაუყოვნებლივ შედის ძალაში, საზღვრის დაცვის დეპარტამენტსაც გადაეგზავნა, რათა მიიღონ ინფორმაცია, რომ ბიზნესმენ დავით ბეგიაშვილზე ძებნა უკვე მოიხსნა.**



რა კავშირი აქვს ბიზნესმენის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან და პუტინის ფავორიტ კომპანია „ნევა რუსთან“ კობა ნაყოფიას

ბიზნესმენ დავით ბეგიაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით (თაღლითობა) ედებოდა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ 2011 წლის 23 მაისს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე ბიზნესმენი უცხო პირებმა გაიტაცეს და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ი) მაშინდელი უფროსის, სოსო თოფურიძის კაბინეტში მიიყვანეს, სადაც თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე მაღაზიების წილის დათმობა და ამ წილის სხვა პირებზე გადაფორმება მოსთხოვეს. ბიზნესმენმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ მის წინააღმდეგ შსს-ს მაღალჩინოსნები, უშუალოდ ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მითითებით მოქმედებდნენ.

დავით ბეგიაშვილს მაშინ არ დაუკონკრეტებია რეალური მიზეზი, რის გამოც ვანო მერაბიშვილის მითითებით, მას საკუთარი ბიზნესწილის დათმობა და ამ წილის სხვა პირებზე გადაფორმება მოსთხოვეს. „ვერსიასთან“ საუბრისას მხოლოდ ის აღნიშნა, რომ როგორც ჩანს, შსს-ს მაღალჩინოსნები მის მფლობელობაში არსებული საკმაოდ ძვირადღირებული მაღაზიებით დაინტერესდნენ.

ორიოდე დღის წინ გამართულ სასამართლო პროცესზე, რომელზეც შვეიცარიაში, დევნილობაში მყოფი ბიზნესმენი გაამართლეს, მისმა ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განმარტა, რომ „ალბატროსის“ ბიზნესით კონკრეტული მაღალჩინოსნები დაინტერესდნენ. ამჟამად, ქართულ ბაზარზე ცნობილ შვეიცარიულ ბრენდებს სომხური კომპანია „ქრონოგრაფი“ წარმოადგენს, რომელსაც კონკრეტული მაღალჩინოსნები მფარველობენ. თუმცა ადვოკატს არ დაუკონკრეტებია, რას წარმოადგენს სომხური კომპანია „ქრონოგრაფი“ და ვინ არიან ის პირები, რომლებიც ამ კომპანიას ლობირებდნენ. სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ შვეიცარიაში მყოფ ბიზნესმენს, **დავით ბეგიაშვილს** დაუკავშირდა:

— მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ჯერ კიდევ ძველი მოსამართლეებით არის დაკომპლექტებული, სამართლებრივ სივრცეში უპრეცედენტო გამამართლებელი განაჩენი დადგა. ერთი წლის წინ, მოსამართლემ პროკურატურის მოთხოვნით, ჩემ წინააღმდეგ აბსურდული ბრალდებით, აღმკვეთი ღონისძიება შემიფარდა, მაგრამ ახლა, იგივე მოსამართლემ და იგივე პროკურორმა, საქმეში დანაშაულის ნიშნების არქონის გამო, საქმის წარმოება შეწყვიტეს. რა თქმა უნდა, ახლო მომავალში ვაპირებ, საქართველოში ჩამოვიდე და ჩემი ბიზნესსაქმიანობა აღვადგინო.

**— ბატონო დავით, რამდენიმე თვის წინ, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დასვით...**

— დიახ, არა მარტო ვანო მერაბიშვილის, რადგან ამის შემდეგ იმ სახელმწიფო მოხელეების 90-კაციანი სია გამოვაქვეყნე, რომლებიც ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ. ამ სიაში ფიგურირებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ხუთი მინისტრი: ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი, ლადო ვარძელაშვილი, დიმიტრი გვინდაძე და ვერა ქობალია. მათ კი იერარქიის მიხედვით, მოადგილეები და სამმართველოს უფროსები მოჰყვებოდნენ. ეს სია შვეიცარიის პროკურატურასაც გადავეცი, რადგან ჩემ ბიზნესში უცხოელი ინვესტორებიც მონაწილეობენ, სია გადავეცი გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარს, რომლის ოფისიც ჟენევაში მდებარეობს. ეს სია გავუგზავნე თბილისში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც და სულ ახლახან, ეს სია გამოსაძიებლად გადავეცი შესაბამის სტრუქტურებს. პირადად, მე, მზად ვარ, ყველა მასალა, მტკიცებულება, მამხილებელი ჩვენება, რომელიც ხელთ მაქვს, გადავცე შესაბამის ორგანოებს, რათა ის პირები ვამხილო, რომლებსაც ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებაში ვადანაშაულებ. სულ ცოტა ხნის წინ, კუდ-ის მაღალჩინოსნები დააკავეს და მათ შორის, ქარდავა და ლილუაშვილი, ჩემს საქმეში, პირადად მონაწილეობდნენ. მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამომიტანა, ცხადია, ობიექტური გამოძიების პირობებში, ყველა იმ მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ მოქმედებდნენ. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამოძიება მათ ბრალეულობას დაადგენს.

**— თქვენ საქმეში ფიგურირებს სომხური კომპანია, რომელსაც კონკრეტული მაღალჩინოსნები ლობირებდნენ. რომელ სომხურ კომპანიასთან გადაიკვეთა თქვენი ბიზნესინტერესი და ვინ არიან ეს მაღალჩინოსნები?**

— საქართველოში ლუქს-ბრენდების ყველაზე მსხვილი ოპერატორი ჩემი კომპანია იყო. პრაქტიკულად, ამ ბაზარზე, სხვა კომპანიას შემოსვლის საკმაოდ ნაკლები შანსი ჰქონდა, რადგან ბრენდი ძალიან ძვირადღირებულია, ხოლო ბაზარი — პატარა. ჩემი დაკავების და შემდეგ, ემიგრაციის პირობებში კი საქართველოს ბაზარზე გამოჩნდა ახალი ოპერატორი, სომხური კომპანია „ქრონოგრაფი“, რომლის მაღაზიაც თავისუფლების მოედანზე, მერიის ყოფილი შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ ეს არის ქართულ-სომხური კომპანია, უფრო ზუსტად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომელიც ერთ-ერთ ოფშორულ ზონაში, 50-ლარიანი საწესდებო კაპიტალითაა დაფუძნებული, დამფუძნებლებს შორის კი სომხები ფიგურირებენ. სხვათა შორის, ერევანში მართლაც არსებობს კომპანია „ქრონოგრაფი“, რომლის დამფუძნებელია სომხეთის საბაჟოს უფროსი. ისევე, როგორც საქართველოში, მეზობელ სომხეთშიც, საბაჟო და საგადასახადო გაერთიანებულ უწყებას წარმოადგენს, რომლის ხელმძღვანელი და მთელი მისი ოჯახი, კომპანია „ქრონოგრაფის“ ოფიციალური მფლობელებია. აი, სწორედ ეს ადამიანები და ეს კომპანია შემოვიდა საქართველოში, მაგრამ ამ სომხურ კომპანიაში, „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლნისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ნაყოფიას კვალიც გამოიკვეთა. ქართულ-სომხურ კომპანია „ქრონოგრაფის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია კალანდაძე, რომლის ძმა „კვარციტის“ დირექტორია. სამწუხაროდ, თავისუფლების მოედანზე, ამ კომპანიას უპრეცედენტოდ გამოუყვეს ფართი მერიის ყოფილ შენობაში, რადგან ასეთი პრიორიტეტული ფართის თუნდაც იჯარით აღებაზეც კი, კონკურსი ან აუქციონი უნდა გამოცხადებულიყო. ამ შემთხვევაში, ქალაქის მერის პირდაპირი განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, ფართი გადასცეს უცნობ კომპანიას, რომელიც ოფშორშია დარეგისტრირებული.

**— ეს თქვენ ბიზნესს არ ეხება, მაგრამ თუ ყველაფერი მართლაც ასეა, ჩემთვის უკვე ნათელია, რატომ შეიძინა კობა ნაყოფიასთან ასოცირებული კომპანია „გეოპრომაინგისაგან“ „კვარციტისა“ და „მადნეულის“ აქციები პუტინის ფავორიტმა რუსულმა კომპანია „ნევა რუსმა“, რომელიც სწორედ სომხეთში აწარმოებს სამთომოპოვებით სამუშაოებს.**

— დიახ, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება და საზოგადოება უფრო ბევრ ფაქტს გაიგებს. აი, ასეთ კორუფციულ გარიგებებს აეხდება ფარდა და ჩვენც აღარ დაგვჭირდება თავის მართლება. სამწუხაროდ, ახლა საზოგადოებისთვის ახსნა-განმარტება გვიწევს, რა და როგორ მოხდა სინამდვილეში. ახალ ხელისუფლებასაც მოვუწოდებ, მაღალჩინოსნების მხილების დროს, უფრო გაბედულები და ეფექტურები იყვნენ და მხოლოდ სამსახურებრივი გადაცდომების, ან საზღვარზე ყალბი დოკუმენტების გამოყენების ფაქტებით არ შემოიფარგლონ. ეს ის დანაშაული არ არის, რის გამოც მაღალჩინოსნები უნდა დააკავონ, მათ ბრალი უნდა ედებოდეთ ორგანიზებულ დანაშაულში.

**„მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება და საზოგადოება კიდევ უფრო ბევრ ფაქტს გაიგებს. აი, ასეთ კორუფციულ გარიგებებს აეხდება ფარდა და ჩვენც აღარ დაგვჭირდება თავის მართლება“**

უკავშირდება თუ არა „მეცხრე არხიდან“ ვასილ მაღლაფერიძის წასვლა ბიძინა ივანიშვილს?

# ვასილ მაღლაფერიძე: „თავი ზედმეტად ჩავთვალე და... სწორი გადაწყვეტილება მივიღე“

თამარ მელქაძე

**სკანდალი, რომელიც „მე-9 არხის“ ირგვლივ ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ აგორდა, კვლავ აქტუალურია. საინტერესოა, რეალურად, რა ხდება არხის შიდა სამზარეულოში, რატომ შეიცვალა ხელმძღვანელობა? როგორც არხის გენერალური დირექტორის ერთ-ერთმა მოადგილემ, ვასილ მაღლაფერიძემ საავტორო გადაცემის პირდაპირ ეთერში განაცხადა, მან არხის დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც არხზე მიმდინარე რეორგანიზაციის შესახებ სხვისგან გაიგო ინფორმაცია. რატომ იგრძნო თავი ზედმეტად და რამ განაპირობა მიმდინარე პროცესებიდან ისეთი ინფორმირებული ადამიანის ჩამოშორება, რომელსაც თავისი სიტყვა ეთქმოდა „მეოცნებეებში“ და PR-სა და მედიის საკითხებში მრჩევლის ფუნქცია ეკისრებოდა? „ვერსია“ ვასილ მაღლაფერიძეს დაუკავშირდა:**



— პროცესების ასეთი განვითარება რამ გამოიწვია, ვერაფერს ვიტყვი. ფაქტი ერთია, თავი ზედმეტად ვიგრძენი და წასვლის შესახებ ხმამაღლა განვაცხადე. ვფიქრობ, ეს ჩემი მხრიდან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. მიზეზებზე ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი. ალბათ ასე მიიჩნიეს საჭიროდ.

**— ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, არხის რეორგანიზაცია საკმაოდ ნორმალურად მიმდინარეობდა და ეს ყველაფერი ერთ დღეში, უკვე ცნობილი მოვლენებით დასრულდა. თქვენ ეთანხმებით მას?**

— ყველა ისე იქცევა, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ. ვისთვის რა არის ნორმალური, ეს სხვა საკითხია. მე ისე მოვიქეცი, როგორც საჭიროდ ჩავთვალე. ეს სამართლებრივადაც, მორალურადაც სწორი და მისაღებია. ივანიშვილს ნორმალურად მიაჩნია, რომ ჩემი იქ ყოფნა აღარ იყო საჭირო. ამის შემდეგ, რამდენიც უნდა ვიტრიალოთ ამ საკითხის გარშემო, საბოლოო პასუხი ესაა. ჩემი მხრიდან ნორმალური საქციელია, რომ როცა ზედმეტად გრძნობ თავს, იქაურობა დატოვო.

**— როგორ ფიქრობთ, უკავშირდება თუ არა ასეთი ცვლილება ბოლო პერიოდში ზურაბ ჟვანიას საქმესთან თქვენი გვარის ხშირ გაჟღერებას?**

— არა მგონია, ეს პროცესები ჟვანიას ამბავს უკავშირდებოდეს. ჩემი გვარის ხშირი გაჟღერება აბსოლუტურად არასწორად ხდება და ეს ყველაფერი კარგად იცის იმან, ვინც ამას აკეთებს. მას შემდეგ, რაც საქმის ხელახალი გამოძიება დასრულდება, საზოგადოება დარწმუნდება ყველაფერში.

**— აქამდე თუ იყავით არხის სარედაქციო პოლიტიკის საქმის კურსში და როდის შეიცვალა სიტუაცია?**

— კი, ნამდვილად გახლდით ყველაფრის საქმის კურსში და ეს დამოკიდებულება ბოლო პერიოდში შეიცვალა. ჩემს განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა ეს ყველაფერი და მე ამ განცხადებით მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია მოვახდინე. აშკარა იყო, რომ იქ უკვე სრულიად ზედმეტი ვიყავი. ჩემი ინფორმირებულობა არა ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო ხდებოდა, არამედ იმისათვის, რომ ეს საჭირო იყო ნორმალური მუშაობისთვის. სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

**— თანამშრომლებს ხელშეკრულებები გქონდათ გაფორმებული? ლუბა ელიაშვილმა განაცხადა, რომ შესაძლებელია, მან სანქციები გამოიყენოს იმ თანამშრომლების წინააღმდეგ, ვინც არხი მისი მოსვლის შემდეგ დატოვა.**

— ხელშეკრულებები არსებობდა, მაგრამ მე არაფერი დამირღვევია. რაც შეეხება ქალბატონ ლუბას, მას, როგორც საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია ისე მოიქცეს. ამის წინასწარ ფოკუსირებას ნამდვილად ვერ მოვახდენ. ელიაშვილის ქმედებებზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

**— არხიდან კახა ბექაურის წასვლის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია მარეგულირებელ კომისიაში მისი შესაძლო დანიშვნის შესახებ. როგორ მიგაჩნიათ, ეს გარიგებაა მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის? არავისთვის წარმოადგენს სიახლეს, რომ ამ ადგილს შალვა რამიშვილი უმიზნებს...**

— ამ თემის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ინფორმაცია არ მაქვს. საერთოდ, არაფერი მაინტერესებს ბექაურისა და მარეგულირებლის შესახებ.

**— როგორ ფიქრობთ, ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ როგორ განვითარდება არხზე მოვლენები?**

— ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. ამის შესახებ არ მიფიქრია და არც უახლოესი მომავლის საკითხია ჩემთვის ამაზე ფიქრი. არ მაინტერესებს. თუ კარგად იმუშავებენ, კარგად განვითარდება, თუ ცუდად — ცუდად.



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

## რა საფრთხეს შეიცავს პრემიერის იდეა და რატომ გამოიწვევს ეკონომიკურ კოლაფსს საინვესტიციო ფონდი?

# ბიძინა ივანიშვილი უკვე არსებულ ფონდებს ქმნის!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ახალი იდეით გამოდის, რომელიც სინამდვილეში, „კარგად დავიწყებული ძველია“. პრემიერს სურს, ქვეყანაში ორი — საინვესტიციო და კრეატიული ფონდი შექმნას, მაგრამ როგორც ჩანს, არ იცის, რომ ქვეყანაში უკვე არსებობს ორი — მთავრობის საპარტნიორო ფონდი და ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. საპარტნიორო ფონდს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, ხოლო საინვესტიციო სააგენტოს — ყოფილი ბიზნესომბუდსმენი გიორგი პერტაია ხელმძღვანელობს.**

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მის მიერ შექმნილი ორი ფონდი დამოუკიდებლად იმუშავებს. კრეატიული ფონდი განსაზღვრავს სად, რომელ დარგში, ან რომელ ადგილზე უფრო საინტერესო იქნება ინვესტირება და ამის მიხედვით შექმნის პროექტებს, რომლებსაც საინვესტიციო ფონდს გადაუგზავნის. საინვესტიციო ფონდი ინვესტორის კომერციული პარტნიორი უნდა იყოს, სადაც დაძალების გარეშე, ყველა მდიდარ ქართველს შეეძლება საწესდებო კაპიტალში მონაწილეობა. თუკი ადგილობრივი ან უცხოელი ინვესტორი ამა თუ იმ პროექტში, ინვესტიციის სახით, მინიმუმ, 25%-ს ჩადებს, საინვესტიციო ფონდი დარჩენილი 75%-ით დაეხმარება.

არადა, ზუსტად ანალოგიური პრინციპით მუშაობს როგორც მთავრობის საპარტნიორო ფონდი, ასევე — ეროვნული საინვესტიციო სააგენტოც. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური კითხვა — რა უსაშველო „ფონდომანია“ შეგვეყარა, ან რა საჭიროა ერთი და იგივე დანიშნულების ამდენი ფონდი მაშინ, როდესაც ქვეყანაში მოქმედებს კანონი, რის საფუძველზეც შეიქმნა როგორც მთავრობის საპარტნიორო ფონდი, ასევე — ეროვნული საინვესტიციო სააგენტო?

სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“, ორი კანონის მიხედვით — „მეწარმეთა“ და „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ შექმნილი იურიდიული პირია. მთავრობის საპარტნიორო ფონდი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შეიქმნა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობს. საპარტნიორო ფონდის მიზნებია: სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, შეფერხებული პროექტების დასრულების ხელშეწყობა და უკვე განხორციელებული პროექტის განსახელმწიფოებრიობა.

კანონის მიხედვით, საპარტნიორო ფონდი ამა თუ იმ პროექტს განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება სოფლის მეურნეობის სფეროში, მინიმუმ, 5 000 000 ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში მინიმუმ, 30 000 000 ლარი იქნება. ფონდი არ განიხილავს ისეთ პროექტებს, რომლებიც უშუალოდ შეეხება მომსახურების სფეროს და უძრავ ქონებაში ინვესტირებას.

საპარტნიორო ფონდის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს: საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხები და გრანტები (სახელმწიფო გრანტების გარდა), რომელთა დაბრუნებაზეც ფონდი თავადაა პასუხისმგებელი; სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების, სახელმწიფოს მიერ ფონდისთვის გადაცემული კომპანიების ან/და უშუალოდ ფონდის მიერ დაფუძნებული კომპანიების დივიდენდები (მათ შორის, წილების და ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული შემოსავალი); კერძო სექტორის თანადაფინანსებით მოზიდული სახსრები; პრივატიზაციის შედეგად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსავლები.

**„საპარტნიორო ფონდის მმართველობითი ორგანოებია — სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი ორგანო. ფონდის საკონსულტაციო ორგანოა საინვესტიციო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო შედგება საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. სამეთვალყურეო საბჭო, საინვესტიციო საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს დამტკიცებული პროექტის მართვის მონიტორინგს“**, — მითითებულია კანონში.



### საინვესტიციო-კრეატიული, თუ საპარტნიორო-ეროვნული — საკითხავი, აი, ეს არის!

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილება, სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებასა და კაპიტალის ფორმირებას ეხება. ამ დადგენილების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ 34%-იანი წილის ფონდის კაპიტალში ინვესტირება, ხოლო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ — შპს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 14%-იანი წილის, ასევე შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 49%-იანი წილის, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 34%-იანი წილისა და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილი კომპანია — შპს „ქარჩალ ენერჯის“ 99%-იანი წილის საპარტნიორო ფონდის კაპიტალში ინვესტირება.

2012 წლის ივლისის დასაწყისში, საქართველოს პარლამენტმა „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ შესახებ საკანონმდებლო ცვლილება დაჩქარებული წესით დაამტკიცა. ცვლილების თანახმად, „ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან“ შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც სააგენტოს მუშაობას აკონტროლებს. საინვესტიციო სააგენტოს თავმჯდომარედ კი საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი დანიშნეს. აღნიშნული ცვლილების შეტანამდე, „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ მუშაობას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აკონტროლებდა. ამ ცვლილებით კი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, როგორც მთავრობის „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი, საინვესტიციო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოსაც ხელმძღვანელობს.

**„კანონის მიხედვით, „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ მიზნებია: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი საწარმოო-საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი ფულადი სახსრების ეფექტური ხარჯვა; საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებისას, საწარმოო-საინვესტიციო პროექტების წარმდგენი ორგანიზაციებისადმი სამართლიანი და არადისკრიმინაციული დამოკიდებულების უზრუნველყოფა; საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების საჯაროობის უზრუნველყოფა; საწარმოო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებისა და სახელმწიფო ხელშეწყობის სისტემის შექმნის უზრუნველყოფა; საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისათვის ხელის შეწყობა და ამ მიზნით სამართლებრივი საფუძვლის შექმნისათვის საჭირო წინადადებების შემუშავების ხელშეწყობა“.**

საინტერესოა, რა რეაქცია ექნებათ ინვესტორებს, რომლებსაც საქართველოში ინვესტიციების განხორციელების სურვილი გაუჩნდებათ. ბიძინა ივანიშვილის ინიციატივის მიხედვით, გამოდის, რომ ისინი იძულებულები იქნებიან, საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გემოვნების მიხედვით აირჩიონ პარტნიორი ბიზნესში, ერთი მხრივ — ნიკა გილაურისა და გიორგი პერტაიას, ხოლო მეორე მხრივ — ჯერ რომ არ ვიცით და ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ შევიტყობთ, ანუ ამ ეტაპზე უცნობი „მეოცნებე“ ბიზნესეკონომისტების სახით, რომლებიც სავარაუდოდ, ივანიშვილისეულ ფონდებს უხელმძღვანელებენ.

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ვშიშობ და ამიტომ, შოთა რუსთაველს დავესესხები, რომ ამდენ ფონდებში „ჩახლართულ-ჩაჭრილ-ჩაკაბარაკებულმა“ ინვესტორებმა, საერთოდ არ გადაიფიქრონ ინვესტიციების განხორციელება საქართველოში. არადა, ასეთი საფრთხე აშკარად არსებობს, თანაც უკვე არსებული ფონდების გაორება კი არა და, გაოთხება ჯერ ინვესტორებს გააოცებს და „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩით“, ხელისუფლების არაადეკვატურობას აშკარად გამოავლენს.

**სიტუაციის შესაფასებლად, „ვერსია“ ექსპერტ გია ხუროშვილს დაუკავშირდა, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნებამდე, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი იყო:**

— საპარტნიორო ფონდის შექმნის გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ამით სახელმწიფო პრიორიტეტულად აცხადებდა ცალკეულ პროექტებს. მაგალითად, სოფლის მეურნეობას, ტურიზმის განვითარებას, სასტუმროებისა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ასე შემდეგ. ზოგადად, ბიზნესმენის ფსიქოლოგია ასეთია, ქვეყანაში რომ ჩადის, აინტერესებს, რამდენად იქნება დაცული მისი ინვესტიცია, მისი ფული, აინტერესებს, ბოლომდე მიიყვანს თუ არა პროექტს. აქედან გამომდინარე, ინვესტორები, რომლებიც ჩამოდიოდნენ ქვეყანაში, მინისტრის მოადგილეებთან კი არა, უშუალოდ, მინისტრებთან შეხვედრას ითხოვდნენ, რათა პირდაპირ მათგან მიეღოთ გარანტია, რომ მათი პროექტი ბოლომდე მივიდოდა. ეს ძალიან ცუდი პრაქტიკა და წარსულის ცუდი გადმონაშთია, როდესაც ინვესტორი მინისტრთან შეხვედრას ითხოვს, რათა ამ უკანასკნელმა „დაკრიშოს“. ამ მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, ამას პირდაპირ კანონის რეგულაციის სახე მივეცით და ვთქვით, თუკი პროექტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მისი განხორციელება სურს, შეიქმნას მთავრობის საპარტნიორო ფონდი. ამ ფონდის საშუალებით, ინვესტორები იღებენ ინფორმაციას, რომ დავუშვათ, სოფლის მეურნეობაში ჩადებული ფული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. თუ ინვესტორი პროექტის ღირებულების 25%-ს გადაიხდიდა და სოფლის მეურნეობაში მაგალითად, 5 000 000 ლარს ჩადებდა, დარჩენილ 75%-ს სახელმწიფო, როგორც ამ ინვესტორის პარტნიორი, დაამატებდა და ერთად განახორციელებდნენ პროექტს. ეს თავისთავად, „დაკრიშვასაც“ ნიშნავდა, ინვესტორის გვერდით დგომასაც და შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან იმის აღიარებასაც, რომ ეს პროექტი მართლაც მნიშვნელოვანია. მას შემდეგ, რაც ინვესტორი ამ ბიზნესს „ამოქოქავდა“, ამ პროექტში სახელმწიფოს საკუთარი წილი უნდა დაეთმო და მთლიანად კერძო ინვესტიცია გახდებოდა. სიმართლე გითხრათ, მთავრობის ახალი ეკონომიკური გუნდისგან ამის მსგავსი კონკრეტული მსჯელობა, ან კონკრეტული წინადადებები არ მომისმენია, მხოლოდ ის ვიცი, რაც ჩვენ მიერ უკვე მიღებულ კანონს ძალიან ჰგავს. შესაბამისად, კარგი იქნება, თუკი მთავრობის ახალი წევრები არსებულ საკანონმდებლო ბაზას შეისწავლიან, რადგან საჭირო არ არის ახალი ველოსიპედის გამოგონება მაშინ, როდესაც ეს ველოსიპედი ქვეყანაში უკვე არსებობს.

**— ბატონო გია, ქვეყანაში უკვე არსებობს მთავრობის საპარტნიორო ფონდი და ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, მაგრამ როდესაც ინვესტორები შეიტყობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ზუსტად ამ ფონდების მსგავს, კიდევ ორ ფონდს ქმნის, არ იფიქრებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება არასერიოზულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს იღებს?**

— სიმართლე გითხრათ, იმის გარდა, რასაც მედიის საშუალებით, ფრაგმენტულად ვეცნობი, სხვა ინფორმაცია არ მაქვს. ვერც კანონი ვნახე, ვერც პროექტი და ვერც — გრძელვადიანი მოქმედების სტრატეგია, რომ კონკრეტული კომენტარი გავაკეთო. სამწუხაროდ, მედიით გავრცელებული ინფორმაცია ნამდვილად არ მაძლევს საფუძვლიანი ანალიზისა და შეფასების საშუალებას, მაგრამ რაც ბრძანეთ, აბსოლუტურად მართალია. ქვეყნის სტაბილური განვითარება პირდაპირპროპორციულად უკავშირდება წარმატებით მომუშავე ინსტიტუციების მხარდაჭერას, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენას და პირიქით, ინვესტორებისთვის ხელის შეწყობას. ყველაფრის უაპელაციოდ უარყოფა, კარგისა და ცუდის ერთ ქვაბში მოხარშვა, ნამდვილად უარყოფითად შემოუტრიალდება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში, ეკონომიკური კოლაფსით დასრულდება.

## ვერსიანიუსი



### ბრიუსელში ნატო-რუსეთის კომისიის სხდომაზე საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე იმსჯელეს

ბრიუსელში ნატო-რუსეთის კომისიის სხდომაზე საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე იმსჯელეს. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**„ნატო-რუსეთის კომისიის სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ საკითხები ავღანეთთან დაკავშირებით და ასევე, გულახდილად ვისაუბრეთ იმ თემებზე, რომელთა მიმართაც ნატო-სა და რუსეთს შორის კვლავ უთანხმოება არსებობს, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ჩათვლით. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე ჩვენ გავაგრძელეთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააგრძელოს ამ ქვეყანამ წინსვლა ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, შეიარაღებული ძალების ფორმირების და საერთო უსაფრთხოების დაცვაში წვლილის შეტანის გზით“**, — განაცხადა კლინტონმა.

*„პირველი“*

# „თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ!... მაგრამ მთიან ყარაბაღში ალბათ აღარ წავალ!“



ნათია ვასაძე

## რა წერილი გაგზავნა აზერბაიჯანში პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებულმა მაყვალა გონაშვილმა და ჩაიშლება თუ არა გაზაფხულზე ქართულ-აზერბაიჯანული პროექტი „მეზობელო კარისაო“

**აზერბაიჯანულმა მხარემ მაყვალა გონაშვილი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა. ოფიციალური ბაქოს გადაწყვეტილება მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მთიან ყარაბაღში ვიზიტს უკავშირდება, სადაც 16-18 ნოემბერს პოეზიის ფესტივალი გაიმართა. ქალბატონი მაყვალა ამ ფესტივალზე სტუმრის რანგში იყო მიწვეული. მთიანი ყარაბაღიდან დაბრუნებისთანავე, პოეტს საქართველოს საგარეო უწყება დაუკავშირდა და გარკვეული დროის განმავლობაში აზერბაიჯანში ჩასვლისგან თავის შეკავება ურჩია. ვიზიტის დეტალებსა და ყარაბაღში სტუმრობის გამო გამოწვეულ პრობლემებზე „ვერსიას“ მაყვალა გონაშვილი ესაუბრა:**

**— ქალბატონო მაყვალა, რატომ ჩახვედით მთიან ყარაბაღში და საფუძვლიანად მიგაჩნიათ თუ არა აზერბაიჯანელთა განაწყენება თქვენს მიმართ?**

— აქამდე არაერთხელ ვყოფილვარ როგორც სომხეთში, ისე აზერბაიჯანში. მინდა აღვნიშნო, რომ ორივე ქვეყანაში ძალიან დიდი სითბოთი მხვდებოდნენ. აზერბაიჯანული მხარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მთიან ყარაბაღში ჩემი ჩასვლა, თორემ სომხეთში ჩემი ჩასვლისას არასოდეს ყოფილა მსგავსი საუბარი. ამიტომაც არ მიფიქრია იმაზე, რომ ჩემი ვიზიტი აზერბაიჯანულ მხარეს გააღიზიანებდა. მთიან ყარაბაღში, იქაურმა მწერალმა და ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა, ვარდან ჰაკოფიანმა მიმიწვია, რომლის წიგნის გამომცემელი რედაქტორიც გახლავართ. ამდენად, მისი მიწვევა არ გამკვირვებია და ჩვეულებრივ ამბად მივიღე. ეს იყო წმინდა ლიტერატურული შეხვედრა — ახალგაზრდა მწერლების მიერ ორგანიზებული პოეზიის საღამო, სადაც ერთი სიტყვაც არ თქმულა პოლიტიკაზე. არ მეგონა, ამ ვიზიტს სახელმწიფოებრივ ჭრილში თუ განიხილავდნენ.

**— აზერბაიჯანულმა მხარემ თქვენამდე არაერთი ადამიანი შეიყვანა არასასურველ სტუმართა სიაში. არ გიფიქრიათ, რომ სადავო ტერიტორიაზე თქვენ ვიზიტს ოფიციალური ბაქო დადებითად არ შეაფასებდა?**

— ვინც ჩადის ყარაბაღში, თურმე აუცილებლად აზერბაიჯანული მხარე უნდა გააფრთხილოს. ეს არ ვიცოდი. ამიტომაც იყო ჩემთვის მოულოდნელი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან რომ მაცნობეს — აზერბაიჯანში ჩასვლის უფლება შეგეზღუდათო. პირველ რიგში, ჩემი აზერბაიჯანელი მეგობრები გამახსენდა და რადგან ჩემთვის მათი აზრი მნიშვნელოვანია, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან წერილი გავგზავნე. წერილში დაწვრილებით ვსაუბრობდი ჩემი ვიზიტის მიზეზებზე. დღესაც ვფიქრობ, რომ პოეტისთვის არ უნდა არსებობდეს საზღვრები. იგი უნდა მივიდეს ყველგან, სადაც ერთი მსმენელი მაინც ელოდება. პოეტი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში. სიყვარულია ჩემი პოლიტიკა. ისიც კარგად მესმის, რომ თუკი შენი სიყვარული სხვას გულს ტკენს, ესეც სადღაც დანაშაულია. ძალიან ძნელია, კონფლიქტებითა და სიძულვილით სავსე თანამედროვე მსოფლიოში, ისე მოიქცე, რომ ვინმეს გული არ ატკინო.

**— როგორ გგონიათ, თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ აზერბაიჯანელების განწყობა შეიცვლება?**

— ჩემი წერილი აზერბაიჯანის ყველა გაზეთში გამოქვეყნებულა. მირეკავენ აზერბაიჯანელი მეგობრები და აქეთ მიბოდიშებენ: ჩვენ კი გავიგეთ თქვენი ვიზიტის მიზანი, მაგრამ რა ვქნათ, კანონი კანონიაო. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იქნება, თუ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შესვლა ამეკრძალება. მაგრამ ამაზე გაცილებით მტკივნეული იქნებოდა, თუ ჩემი მეგობარი აზერბაიჯანელი მწერლები ამ ვიზიტს ღალატში ჩამითვლიდნენ. მოხარული ვიქნები, თუ ეს იქნება დროებითი შეზღუდვა, რადგან მე და აზერბაიჯანელ მწერლებს ძალიან ბევრი რამ გვაქვს ერთად საკეთებელი. ერთ-ერთ ერთობლივ პროექტს, რომლის განხორციელებასაც გაზაფხულზე ვაპირებთ, „მეზობელო კარისაო“ ჰქვია. ასეთივე პროექტი შარშანაც განვახორციელე. ეს იყო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ახალგაზრდები.

**— კიდევ რომ დაგპატიჟონ მთიან ყარაბაღში, წახვალთ?**

**— ალბათ აღარ წავალ. თავს დამნაშავედ კი არ მივიჩნევ, უბრალოდ, არავის გულისტკენა არ მინდა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს სასწორს, რომელზეც დევს ორი მხარე და არც ერთი მათგანის გულისტკივილი ჩემთვის უცხო არ არის. ერთ მხარეს ჩემი უახლოესი მეგობარი ვარდან ჰაკობიანია, მეორე მხარეს არიან აზერბაიჯანელი მწერლები. საქართველოში ხშირად ერთდროულად მყოლია სტუმრად აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლები. სულ ვცდილობდი მათში სიყვარულის გაღვივებას. ტრაგედიაა, როცა ურთიერთობებში ომი ერევა. ომი ყველა ხიდს წვავს. ერთი მხრივ, ყარაბაღის მიწაზე დარჩენილი ადამიანები აგრძელებენ ცხოვრებას და ბედნიერებიც არიან, მაგრამ მეორე მხრივ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საფლავების სანახავადაც კი ვერ ჩადიან საკუთარ მიწაზე.**

**— ეს სიტუაცია, არც ჩვენთვისაა უცხო. როგორ მოიქცეოდით, მსგავსი რამ აფხაზეთში ან ოსეთში რომ მომხდარიყო?**

— თუ მეცოდინება, რომ იქ ჩასული ადამიანი ისეთივე ერთგულია ჩემი ქვეყნისა, როგორიც მე ვარ აზერბაიჯანის მიმართ, არ მეწყინება. იქაც ხომ არსებობენ ბავშვები, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ არა მარტო აფხაზ და ოს, არამედ სხვა ქვეყნის პოეტებთან შეხვედრა. როცა 2008 წლის ომი დაიწყო, პირველად ის გავიფიქრე, რა რეაქცია ექნებოდათ ამაზე ჩემ რუს მეგობრებს. ვინც კი რუსეთის მოქალაქეა, განა ყველა დამნაშავეა ჩვენ წინაშე? მთიანი ყარაბაღის საკითხი ძალიან მტკივნეული პრობლემაა, რომელზეც ძალიან ბევრს ვფიქრობ. ერთი მხრივ მეჩვენება, რომ ჩატეხილი ხიდის გასამთელებლად ჩემი ქმედება სწორი და გამართლებულია, მაგრამ მეორე მხრივ, ვაწყდები კანონებს. ცოტა ხნის წინ, ასეთივე ფორიაქი მოჰყვა ჩვენს მიერ პალესტინის აღიარებას.

**ვგრძნობ, რომ პოლიტიკოსები თავადაც ვერ პოულობენ პასუხებს იმ კითხვებზე, რა დილემის წინაშეც ჩვენ — მწერლებსა და პოეტებს გვაყენებენ. ვფიქრობ, კულტურა უნდა იყოს დაძაბული ურთიერთობების მომრიგებელი. თუ იქნება სურვილი, მზად ვარ, ვიყო თუნდაც შუამავალი, თუნდაც ხიდი ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. ვგულისხმობ, როგორც რუსულ-ქართულ, ასევე სომხურ-აზერბაიჯანულ მხარეებსაც.**

**— ყარაბაღიდან ჩამოსვლის შემდეგ სანკტ-პეტერბურგში ბრძანდებოდით. როგორ ჩაიარა ქართული კულტურის დღეებმა რუსეთში?**

— სანკტ-პეტერბურგში ერთი წლის წინაც ვიყავი მიწვეული. მაშინ იქ ჩემი პოეზიის საღამო უნდა გამართულიყო. იმ დროს ძალიან პოპულარული იყო „რუსეთის აგენტების“ თემა და რუსეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ვიზიტი სამშობლოს ღალატად განიხილებოდა. ამიტომაც არ მეყო მაშინ მხნეობა და გამგზავრებისგან თავი შევიკავე. წელს ეს საკითხი ასე მწვავედ აღარ დამდგარა და კულტურის დღეებში მონაწილეობას სიხარულით დავთანხმდი. წუთითაც არ შეიძლება იმ ქმედებების გამართლება, რაც რუსეთმა ჩვენ ქვეყანას გაუკეთა.

**მაგრამ მე ვნახე მეორე რუსეთიც — ფილარმონიის გადაჭედილი დარბაზი, რომელიც „ქართული ხმებისა“ და ნანი ბრეგვაძის ყველა სიმღერის შემდე გ ფეხზე დგებოდა, რუსი ქალბატონი, რომელმაც აცრემლებულმა მითხრა: ღმერთო, როგორ მომენატრა ქართული საუბრის მოსმენაო. ასეთი მომენტები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების აღდგენაში. მით უმეტეს, რომ რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს უამრავი ჩვენი თანამემამულე.**

სწორედ მათთვისაა მნიშვნელოვანი მსგავსი პროექტების განხორციელება. ხელოვნება უნდა გაემიჯნოს პოლიტიკას და ჩვენი ერთადერთი მისია შემრიგებლური ნაბიჯების გადადგმა უნდა იყოს.

**„სიყვარულია ჩემი პოლიტიკა! ძნელია, კონფლიქტებითა და სიძულვილით სავსე თანამედროვე მსოფლიოში ისე მოიქცე, ვინმეს გული არ ატკინო!“**

**— ხუთი წელი მიმდინარეობდა დავა მწერალთა კავშირის კუთვნილ შენობასთან დაკავშირებით. მოგვარდა თუ არა ეს საკითხი და როდის ბრუნდებით ძველ შენობაში?**

— მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე შენობიდან 2007 წელს, ღამის 4 საათზე გამოგვასახლეს ნიღბიანმა ადამიანებმა. იმის მერე, არაერთი სასამართლო პროცესი გაიმართა. ჩვენ მოვიგეთ უზენაეს სასამართლოში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შენობა უკვე ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა და არსებობდა მისი გაყიდვის საშიშროება. დახმარებისთვის მივმართე ევროპის შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეს, საიდანაც 2008 წელს წერილი მოვიდა საქართველოს პრეზიდენტის სახელზე. ამავე წელს ვიმყოფებოდი უკრაინაში გამართულ მსოფლიო მწერალთა შეკრებაზე, სადაც 15 ქვეყნის წარმომადგენელმა მოაწერა ხელი საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილს, რომელშიც ეწერა, რომ თუ შენობის საკითხი მწერალთა კავშირის სასარგებლოდ არ გადაწყდება, ყველა ქვეყნის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი ჩამოვიდოდა საქართველოში და ჩვენ შენობასთან აქციას გამართავდა. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, შევძარით ცა და დედამიწა. 2008 წლის ბოლოს გადაწყდა, აღარ გაყიდულიყო შენობა და ყოფილიყო მწერლის სახლი. ამჟამად შენობაში მიმდინარეობს რემონტი და სავარაუდოდ, 2013 წლის იანვარში შევძლებთ იქ გადასვლას. აღსანიშნავია, რომ შენობაში აღარ იქნება კაბინეტური სისტემა. იქნება ოთახები კონკრეტული სამუშაოების ჩასატარებლად. მაგალითად: ახალგაზრდებთან მუშაობის კაბინეტი, კულტურული მემკვიდრეობის დარბაზი... აუცილებლად იქნება ლიტერატურული კაფე, ბიბლიოთეკა, წიგნის მაღაზია... მესამე სართულზე განთავსდება სასტუმრო, სადაც დაისვენებენ ჩამოსული სტუმრები. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი კარი ღია იქნება ყველა იმ მწერლისთვის, ვინც თავადაც გამოთქვამს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს.

**— ალბათ იმის გამო, რომ მწერალთა კავშირში მუდმივად იყო დაჯგუფებები და დაპირისპირებები, მას ხშირად საბჭოურ გადმონაშთსაც უწოდებდნენ.**

— ასეთი დაპირისპირებები რომ აღარ განმეორდეს, აუცილებელია, შეიქმნას საბჭო, სადაც გაერთიანდება ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელი. უნდა შეიქმნას ერთიანი სივრცე, სადაც საფიქრალიც გვექნება, სათქმელიც და საკამათოც. მწერლის სახლი უნდა იყოს ისეთი, როგორიც უნდოდა ყოფილიყო ამ სახლის დამაარსებელს, სარაჯიშვილს. ამ სახლში სხვადასხვა დროს უცხოვრიათ ესენინს, აკაკის, ტიციანსა და პაოლოს... ილია ჭავჭავაძე ამ სახლში კითხულობდა თავის პირველ ნაწარმოებს. ხშირად წამოაძახებენ ხოლმე მწერალთა კავშირს 1937 წელს და როცა ამას ვისმენ, ისე მტკივა გული, თითქოს საკუთარ ოჯახს მილანძღავდეს ვინმე. როდესაც სახელმწიფო იძლევა იმის უფლებას, რომ ადამიანმა ადამიანი დააბეზღოს, მწერალთა კავშირშიც გამოჩნდება გამყიდველი და ყველგან. ამ შენობის კიბეებზე პაოლო იაშვილის სისხლია დაღვრილი და ამ სისხლით ქართველებმა რაღაცნაირად გამოისყიდეს თავისი ცოდვა. მჯერა, რომ დასრულდა ურთულესი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ახლა ქვეყნის შენების ახალი ეტაპი იწყება, რომელიც მწერალთა კავშირზეც დადებითად აისახება.

## ვერსიანიუსი

### ახმედ ჩატაევი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა



სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაკავებულ ახმედ ჩატაევს აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა გირაოთი შეეცვალა და იგი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

აღნიშნული შუამდგომლობა თავად პროკურორმა, ელიზბარ გოზალიშვილმა დააყენა და მოსამართლემ დააკმაყოფილა, რის შედეგადაც ჩატაევს 5 000 ლარის ოდენობის გირაო დაეკისრა. თანხის გადასახდელად მას 30-დღიანი ვადა მისცეს. ასევე, იგი ვალდებულია, საქართველოს ტერიტორია არ დატოვოს. ჩატაევის საქმეზე მომდევნო სხდომა 19 დეკემბერს, 15:00 საათზე გაიმართება. შეგახსენებთ, რომ შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, ლოპოტას ხეობაში 7 სექტემბერს განხორციელებული დევნის ოპერაციის შედეგად, შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი იქნა ლიკვიდირებული. ახმედ ჩატაევიც სწორედ აღნიშნული სპეცოპერაციის დროს დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით ედება, რაც ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს და სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ამასთან, ახმედ ჩატაევი უკრაინაში ორი წლის წინაც დააკავეს და რუსეთმა მისი ექსტრადირება მოითხოვა. ჩატაევს რუსეთში ტერორიზმსა და რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებენ.

ჩატაევის ექსტრადცია რუსეთმა საქართველოსაც მოსთხოვა, თუმცა, როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ქართული მხარე ჩატაევის გადაცემას არ აპირებს.

*„პირველი“*

# „სასამართლოს ორი ინსტანცია მოვიგე, ჩემი სიმართლე დავამტკიცე და დირექტორი მაინც თავისას ამტკიცებს“

ნელი თორდია

**რომელი სკოლის დირექტორები აცხადებენ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგების სამსახურში დაბრუნებაზე უარს და რა მოუვათ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერ პედაგოგებს? ამაზე „ვერსიას“ საქართველოს პედაგოგთა და მშობელთა ასოციაციის თავმჯდომარე ლია ნიკოლაიშვილი ესაუბრება:**



## სკოლების დირექტორები განათლების მინისტრს არ ემორჩილებიან და პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ მასწავლებლებს სამსახურში არ აბრუნებენ

— საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რა არის სკოლიდან უსამართლოდ გამოშვება და ამიტომ ძალიან კარგად მესმის იმ ადამიანების, რომლებიც უზნეო დირექტორების წყალობით, უმუშევრები დარჩნენ. მოგეხსენებათ, შაშკინის მინისტრობის პერიოდში, პედაგოგების სკოლებიდან გამოშვებამ მასობრივი სახე მიიღო. ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ გაჩნდა იმედი და მოლოდინი, რომ უსამართლოდ გაძევებული მასწავლებლები სკოლას დაუბრუნდებოდნენ, მით უმეტეს, რომ განათლების მინისტრმა 1 ნოემბერს განცხადება გააკეთა მშვიდობიან მორიგებასა და პოლიტიკური ნიშნით გაშვებული პედაგოგების დაბრუნებაზე. მაგრამ, როგორც სააკაშვილი იტყოდა, ნურას უკაცრავად. „ნაციონალი“ დირექტორების ნაწილი პედაგოგების სკოლაში მიღებაზე უარს აცხადებს. მაგალითისთვის ჩემი შემთხვევაც კმარა. თქვენთვის ცნობილია, რომ ჩემი პოლიტიკური აქტივობების გამო, 89-ე სკოლის დირექტორისთვის მიუღებელი აღმოვჩნდი და სხვანაირად რომ ვერაფერი მომიხერხა, მოსწავლის ცემის ბრალდებით, 2009 წლის 17 ნოემბერს, სკოლიდან გამომიშვა. „ნაციონალური“ იდეებით შეპყრობილი დირექტორისთვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა, რომ „ეროვნული საბჭოს“ სიით კენჭს ვიყრიდი ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად და ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. ნანა სოლოღაშვილის უკანონო ბრძანება სასამართლოში გავასაჩივრე და სამსახურში დაბრუნება მოვითხოვე. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემი სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა სააპელაციო წმინდად მოვიგე. სკოლის დირექტორმა გადაწყვეტილების გასაჩივრება უზენაესში სცადა, თუმცა საქმე განსახილველადაც არ მიიღეს და საბუთები უკან გადმოუყარეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში „ნაციონალების“ ყოფნის პერიოდში სკოლის დირექტორს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არც უფიქრია, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ სკოლაში ჩემ დაბრუნებას ახლაც არ აპირებს.

**— ამის შესახებ თავად გითხრათ?**

— წერილობით მივმართე და სკოლაში დაბრუნება მოვითხოვე. ნანა სოლოღაშვილის საპასუხო წერილში, რომელიც 15 ნოემბერს, ანუ გიორგი მარგველაშვილის ცნობილი განცხადების შემდეგ მივიღე, წერია: „2009 წლის 17 ნოემბერს სკოლის დირექციისა და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, თქვენ შრომითი ხელშეკრულება შეგიწყდათ არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ მასწავლებლის ქცევის კოდექსის დარღვევის გამო (მესამე კლასის მოსწავლის ცემის გამო). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურში თქვენი აღდგენა შეუძლებელია“. წარმოგიდგენიათ? სასამართლოს ორი ინსტანცია მოვიგე, ჩემი სიმართლე დავამტკიცე და სოლოღაშვილი მაინც თავისას ამტკიცებს. საინტერესოა, რომელ მორიგებაზე და შერიგებაზე შეიძლება საუბარი ასეთ დირექტორთან?

**— განათლების სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელიც ასეთ საქმეებს იხილავს. მიმართეთ მას?**

— არა მარტო ამ კომისიას, პროკურატურასაც მივმართე განცხადებით.

**მე ბრალს ვდებ ნანა სოლოღაშვილს, რომ ცილი დამწამა და ყალბი დოკუმენტაციის საშუალებით, სკოლა დამატოვებინა. მოვითხოვ, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე იმ ადამიანების მიმართ, ვინც სიცრუისა და სიყალბის გზით სკოლა უკანონოდ დამატოვებინა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ემორჩილება. როგორც ვიცი, ამჟამად სოლოღაშვილი ჩემს საწინააღმდეგოდ ახალ ხელმოწერებს აგროვებს და ახალი ხელისუფლების მხარდამჭერ მასწავლებლებს ემუქრება, ნიკოლაიშვილი სკოლაში არ შემოუშვათ და ჭკვიანად იყავით, თორემ 6 თვეში ისევ „ნაციონალები“ დაბრუნდებიან და მერე ნახავთ, რაც მოგივათო. სხვათა შორის, ასეთ ხმებს, სოლოღაშვილის გარდა, სხვა დირექტორებიც ავრცელებენ.**

**— როგორ ხდება პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგების შერჩევა და რომელი სკოლა ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის მასწავლებლების უკან დაბრუნებას?**

— სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სამინისტროში შექმნილ კომისიას არ გაუჭირდება პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგების შერჩევა, რადგან ისევე, როგორც ჩემს შემთხვევაში, ყველაფერი ნათელია. საბედნიეროდ, ჩვენი სისტემა წესიერი და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე დირექტორების ნაკლებობას არ განიცდის. მაგალითად, 47-ე სკოლამ გაშვებული პედაგოგი ლელა ბახუტაშვილი უპრობლემოდ მიიღო უკან, მატანის საჯარო სკოლამაც დააბრუნა გაშვებული ოთხი მასწავლებელი, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლამ — თამარ სუხიაშვილი, მაგრამ

**დირექტორების ნაწილი მინისტრის ინიციატივის განხორციელებაზე უარს აცხადებს. ჩემი ინფორმაციით, შემდეგი სკოლების დირექტორებმა უარი უთხრეს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ მასწავლებლებს: 139-ე სკოლა — უარი ეთქვა პედაგოგ ირმა მდინარაძეს; 192-ე სკოლა — ფეიქრიშვილ ვენერას; 24-ე სკოლა — ადელი ერაგიასა და ნათელა მირიანაშვილს, 70-ე სკოლა — მელაძე არინას, 202-ე სკოლა — ლალი ხატიაშვილს, 164-ე სკოლა — ლეილა მოლაშვილს, 172-ე სკოლა — ნუნუ ოსიაურს, 150-ე სკოლა — როზა პაიჭაძეს, 165-ე სკოლა — რუსუდან გაგუას, 115-ე სკოლა — ნუნუ მშვენიერაძეს, 155-ე სკოლა — ქეთევან ასათიანს, 154-ე სკოლა — ქალაშიან გაიანეს.**

ამ უკანასკნელ პედაგოგთან დაკავშირებით, კურიოზული ფაქტი მოხდა. ის დირექტორი, ვინც ეს ქალბატონი გაათავისუფლა, თავადაც მალე მოხსნეს და ჩემთან მოვიდა განცხადების დასაწერად. ზუსტად იმ დროს, როცა მიმტკიცებდა, სკოლიდან არც ერთი პედაგოგი არასოდეს გამიშვიაო, შემთხვევით გაიანე ქალაშიანი შემოვიდა. გაგიჟდა, შენ არავინ გაგიშვიაო? იქ ისეთი ამბავი დატრიალდა, მოყოლაც მიჭირს. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, გეტყვით, რომ ამ პედაგოგებს შევატანინე კომისიაში განცხადება და უახლოეს ხანებში პასუხს ველით".

**„დირექტორი მასწავლებლებს ემუქრება, ჭკვიანად იყავით, თორემ 6 თვეში ისევ „ნაციონალები“ დაბრუნდებიან და მერე ნახავთ, რაც მოგივათო“.**

**ყოფილი თანამშრომლის ბრალდებებთან დაკავშირებით, 89-ე საჯარო სკოლის დირექტორის პოზიციის გაგებითაც დავინტერესდით, თუმცა, ნანა სოლოღაშვილმა კომენტარის გაკეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგებისა და პროფესორების საკითხს განათლების სამინისტროს სპეციალური, 9-კაციანი კომისია, 3 თვის განმავლობაში შეისწავლის. კომისიის მუშაობის შესახებ „ვერსიას“ მისი ხელმძღვანელი და განათლების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე ესაუბრა:**

— ამ ქალბატონის საქმეს ვიცნობთ, თუმცა ვიდრე კომისია ამ საკითხს არ განიხილავს, ჩვენ რამე ჩარევას და დირექტორის მიმართ სანქციების გატარებას თავს ავარიდებთ იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ჩვენ თვითონ არ დავაყენოთ კომისიის მუშაობა კითხვის ქვეშ. თავისთავად ცხადია, რომ მინისტრის ინიციატივა მორიგებაზე, არ იყო პირდაპირი დირექტივა. ამ პროცესში თეორიულად დასაშვებია სხვადასხვა დინებების არსებობა და ვიდრე ყველაფერს პროცედურულად არ გავივლით და ნეიტრალურ კომისიაში ჩართული სამუშაო ჯგუფის წევრები არ დადებენ კვალიფიციურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ჩვენი მხრიდან რაიმე ქმედებების განხორციელება შეიძლება უფრო მეტი შეცდომის მატარებელი იყოს.

**— კომისია მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულების საქმეებს განიხილავს თუ სამართლებრივი პროცედურების დარღვევით გათავისუფლებული მასწავლებლებითაც დაინტერესდება?**

— ეს თემები ზოგჯერ შეჭრილია ერთმანეთში. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სადღაც არ არის პოლიტიკური ნიშანი და არის სამართლებრივი პრობლემები. ანუ, პროცედურების დარღვევით მოხდა ამა თუ იმ პედაგოგის გათავისუფლება, მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამის უკან პოლიტიკური კონიუნქტურა იმალება. მკაფიოდ უნდა გამოვკვეთოთ, რა იქნება პირველი გზავნილი. კომისია, საბოლოო ჯამში, საქმის განხილვის შემდეგ იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ საქმეებზე, სადაც იკვეთება პოლიტიკური ნიშანი. ესაა მთავარი.

რამდენიმე დღის წინ, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, განათლების სამინისტროს წინა ხელისუფლების მიერ გათავისუფლებულმა სკოლის დირექტორებმაც მიმართეს. ამ დროისთვის, მიმართვას ხელს 150-მდე ყოფილი დირექტორი აწერს და მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება“.

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გოგლიჩიძის კომისიას წინ ურთულესი სამუშაო ელის.**

## ვერსიანიუსი

### მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს პირისპირ მოლაპარაკებას სთავაზობს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს პირისპირ მოლაპარაკებას სთავაზობს. შესაბამისი განცხადება პრეზიდენტმა „ფაინანშალ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

სააკაშვილის განცხადებით, პრეზიდენტისა და პრემიერის კონფლიქტმა, შესაძლოა, ცუდი გავლენა იქონიოს დასავლეთის მიერ საქართველოს მხარდაჭერის პროცესზე. იგი ფიქრობს, რომ პირისპირ მოლაპარაკება შექმნილი ჩიხიდან პროცესის გამოყვანას ხელს შეუწყობს.

პრეზიდენტი ბოლოდროინდელ დაკავებებსაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ გასული წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა იდეალური არ იყო, მაგრამ ოპოზიციის ლიდერებს მაინც არ აპატიმრებდნენ.

*„მედიანიუსი“*

### მიხეილ სააკაშვილმა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ახალი ხელმძღვანელი წარადგინა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავდაცვის სამინისტროში, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ახალი ხელმძღვანელი ირაკლი ძნელაძე წარადგინა.

პოლკოვნიკ ირაკლი ძნელაძის კანდიდატურის შერჩევა საქართველოს თავდაცვის მინისტრსა და პრეზიდენტს შორის კონსულტაციების შედეგად მოხდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულების თანახმად, გაერთიანებული შტაბის უფროსს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს.

პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 20 წელია მსახურობს. ბოლო პერიოდში ის იყო საქართველოს თავდაცვის ატაშე უკრაინაში, მოლდოვასა და ბელორუსში.



*„მედიანიუსი“*



ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი



**ერთ დროს ავიაკომპანიის მფლობელი ჯემალ მამიას ძე ხახუტაიშვილი დღეს ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება. იგი იმ მსჯავრდებულთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ახალ ხელისუფლებას, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს და შესაბამის ორგანოებს, პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭებას სთხოვს. თამაზ გაიაშვილი, დავით ტყეშელაშვილი, ძმები კოდუები, გიორგი კარბელაშვილი, ლევან ჭიჭინაძე... ეს იმ ადამიანთა მცირე ჩამონათვალია, რომელთაც ხახუტაიშვილი ხელს ადებს და აცხადებს, რომ სწორედ მათი წყალობით „ამხილეს“ „საქართველოს მტერ პუტინთან მეგობრობაში“ და შეუთითხნეს არაერთი უსაფუძვლო თუ უსამართლო ბრალდება. პატიმარი ბიზნესმენი მიზეზსაც ღიად ასახელებს — წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს სურდათ, საავიაციო სფეროში მონოპოლია შეენარჩუნებინათ და კონკურენტი ავიაკომპანიის დამაარსებელი მოიშორეს. არის თუ არა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები „შეკერილი“ და არის თუ არა ჯემალ ხახუტაიშვილი უკანონოდ, უდანაშაულოდ, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაბამისი ორგანოების პრეროგატივაა. ხახუტაიშვილს იმედი აქვს, რომ ივანიშვილის ხელისუფლება მის საქმეს გადახედავს და პოლიტპატიმრად აღიარებენ. ამ მოთხოვნით, მიმდინარე წლის 5 ნოემბერს, წერილობით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას უკვე მიმართა. მოგვიანებით, მისი წარმომადგენელი და თავად ხახუტაიშვილიც, „ვერსიასაც“ დაუკავშირდა. მის მონათხრობს, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გთავაზობთ.**

# „თავს პოლიტიკურ პატიმრად მივიჩნევ... და იმედია, ეკა ბესელია არ დამტოვებს უყურადღებოდ“

ხახუტაიშვილის თქმით, ყველაფერი 2004 წელს დაიწყო. მაშინ, როცა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ქვეყნის პირველი პირის სავარძელში მოკალათებულმა სააკაშვილმა უცხოეთში მოღვაწე ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. მაშინ არაერთმა ქართველმა მიიღო საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება. მათ შორის იყო ჯემალ ხახუტაიშვილიც. ამ უკანასკნელმა სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ აჭარაში შექმნა ავიაკომპანია სახელწოდებით „ევროლაინი“, რომელმაც საკმაოდ სწრაფად, 2004 წლის ოქტომბერში, მიიღო საფრენოსნო სერტიფიკატი.

თუმცა, რეგისტრაციიდან სულ რაღაც 2 თვეში, კომპანიაში საგადასახადო პოლიცია შევიდა, ხახუტაიშვილის თქმით, „მეტად აბსურდული“ ბრძანებით — გეგმური შემოწმება უნდა ჩავატაროთო. დალუქეს კომპანიის სათავო ოფისი, აჭედეს გაყიდვების ოთხივე ოფისის კარი. „ერთი სიტყვით, გაგვაჩერეს!“ — ასეთია „ევროლაინის“ დამაარსებლის, ჯემალ ხახუტაიშვილის შეფასება, რომელმაც მაშინ დიდი სკანდალი ატეხა — საგადასახადოს წარმომადგენლებს თავზე ჟურნალისტები დააყენა და გააპროტესტა, გეგმურ შემოწმებას როგორ ატარებთ, როცა გეგმის შედგენის დროს, ჩვენი კომპანია დარეგისტრირებულიც კი არ იყოო. მაშინ აჟიოტაჟმა გაჭრა. ოფისები გახსნეს და კომპანიამ საქმიანობა ჩვეულ რიტმში განაგრძო. **„რას წარმოვიდგენდი, რომ მართვადი პროცესი დაიწყო. მოგვიანებით, მაინც შეგვამოწმეს, თანხაც ჩამოგვაჭრეს და 36 000 ლარი ჯარიმაც დაგვადეს. აღარ ვიდავე. ვიფიქრე, არ ღირს-მეთქი და შევეშვი“,** — იხსენებს პატიმარი ხახუტაიშვილი... მაგრამ, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. კიდევ 2 თვის თავზე, ხახუტაიშვილის წინააღმდეგ, როგორც თავად ამბობს, სისხლის სამართლის საქმე „შეკერეს“ თაღლითობის მუხლით. კონკრეტულად, რას და რატომ ედავებოდნენ, ხახუტაიშვილმა დღემდე არ იცის. მით უმეტეს, რომ ეს საქმე გაბათილდა, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

საბოლოო ჯამში, ხახუტაიშვილი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. საქართველოში ბიზნესი გააჩერა და უკრაინაში გადავიდა, სადაც იგივე სახელწოდების ავიაკომპანია დააფუძნა.

ხახუტაიშვილის წასვლისთანავე, საქართველოში სასამართლო ჩატარდა და მას 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. „არც კი ვიცი, რისთვის გამასამართლეს“, — აცხადებს ხახუტაიშვილი. სამაგიეროდ, იცის, ვისი წყალობით — პატიმარი ბიზნესმენი ხელს ქართული „ავიაციის მეფეს“, „აირზენას“ ხელმძღვანელ თამაზ გაიაშვილს ადებს, რომელმაც მისი თქმით, კონკურენტი ავიაკომპანიის ხელმძღვანელი ხელის ერთი მოსმით მოიშორა. ხახუტაიშვილის თქმით, საავიაციო დეპარტამენტი სწორედ გაიაშვილის მიერ იყო დაკომპლექტებული და იქ გაიაშვილის გარეშე არც ერთი ნებართვა არ გაიცემოდა. **„როცა „შემკვეთმა მეფემ“ თბილისიდან მომიშორა, დაწყნარდა. სამაგიეროდ, ჩემი პიროვნებით, როგორც კარგი ორგანიზატორისა და შესაძლო „გამოსადეგი კადრით“, ქვეყნის კუდ-ი დაინტერესდა. 3,5 წლის განმავლობაში მაკვირდებოდნენ. როცა უკრაინაშიც მოვიკიდე ფეხი, იქაც მომიჩინეს „მეგობრები“,** — აცხადებს ხახუტაიშვილი და იმასაც გვიმხელს, რომ საქართველოში დაბრუნებისა და აქ მუშაობის სურვილი ერთი წამითაც არ დაუკარგავს. ეს კარგად დაინახეს და გამოიყენეს „მეგობრებმა“, რომლებმაც ბატონ ჯემალს შესთავაზეს, სამართალდამცავებთან საქმეს მოგიგვარებთ, ოღონდ საქართველოში დაბრუნდიო: **„სამშობლოში 2007 წლის ბოლოს ჩამოვფრინდი. „ძმების ესკორტი“ დამხვდა მეტად საპატიოდ. როგორც მოვილაპარაკეთ, „ჩავბარდი“ სამართალდამცავებს. ამასობაში, რამდენიმე კაცმა მომამზადა თხოვნა სააპელაციო სასამართლოში (ქუთაისში) გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. სასამართლოში შევიდა სააპელაციო საჩივარიც და სასამართლო დარბაზში, 30 წუთში, გასაჩივრების ვადაც აღმიდგინეს, სააპელაციო სასამართლომ ჩემი თხოვნაც განიხილა, საპროცესო შეთანხმებაზეც დათანხმდა და დილით ჩამოფრენილი, საღამოს 5 საათზე უკვე თავისუფალი ვიყავი“.**

თუმცა 30 წუთში მიღებული თავისუფლება, საბოლოოდ, თავისუფლების დასასრული აღმოჩნდა. მანამდე კი, ხახუტაიშვილს არაერთი ბრძოლისა თუ უსამართლობის გადატანა მოუხდა. არადა, თავდაპირველად, კოდუები არწმუნებდნენ, ყველაფერი უნდა გააკეთო, ეს ავიაკომპანია გაიაშვილის „აირზენას“ შემცვლელი რომ გახდესო.

## რა ბრალდებებს უყენებს მსჯავრდებული ჯემალ ხახუტაიშვილი ძმებ კოდუებს, თამაზ გაიაშვილს, დავით ტყეშელაშვილს, გიორგი კარბელაშვილს...

ხახუტაიშვილი ამტკიცებს, რომ იმხანად, პროკურატურის თანამშრომლები ავიაციაშიც აგროვებდნენ კომპრომატებს, კონკრეტულად, გაიაშვილის წინააღმდეგ. ამიტომ ვარაუდობდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს, „ავიაციის მეფის“ დასჯა უნდოდათ, მაგრამ ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ გადაიფიქრეს. ხახუტაიშვილი ამტკიცებს, რომ მისთვის ამის მიზეზიც ცნობილია — მისი თქმით, საბოლოოდ, თამაზ გაიაშვილი, ხელისუფლებამ, „ქრისტიან-დემოკრატების“ „საფულედ“ გამოიყენა, სანაცვლოდ კი, ქდმ-ს საარჩევნო სიაში ჩაწერეს. **„როგორ ფიქრობთ, საქართველოს „პირველ პილოტს“, რომელიც დღემდე ქვეყნის პრეზიდენტსა და მის ოჯახთან დაახლოებულ პირად მიიჩნევა, აგრეთვე სააკაშვილის ოჯახის პირადი პილოტია, რა ესაქმებოდა ოპოზიციაში მე-6 ნომრად? ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო საქართველოს პრეზიდენტსა და მის გარემოცვასთან. დასკვნები, მკითხველმა გააკეთოს“.**

პატიმარი ბიზნესმენი აცხადებს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე და მას შემდეგ, რაც მის კომპანიას საკმაო ვალი დაედო, კოდუებიც ჩამოშორდნენ. მან ფარხმალი არ დაყარა და უამრავი პრობლემის მიუხედავად, ბრძოლა განაგრძო, ინვესტორი იპოვა და 2010 წლის იანვრიდან, ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციაში, უკვე ავიაკომპანია „საქართველოს საერთაშორისო ავიახაზების“ სახელით, განცხადება შეიტანა, საქართველოს სახელმწიფო რეგისტრში 8 საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის შესახებ. აქედან ორი ხომალდი იყო **B -7.37400, 2-FOKKER-100, 2-FOKKER-70** და 2 ხომალდი — **SAAB-340B.**

ამ ფაქტმა ავიაციის დეპარტამენტში, როგორც ხახუტაიშვილი ამბობს, ერთობ „არანორმალური რეაქცია გამოიწვია“. ამდენი ხომალდის დარეგისტრირების მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია ელვის სისწრაფით მივიდა თამაზ გაიაშვილამდე. ცხადია, ამ უკანასკნელს, თბილისის აეროპორტში „საქართველოს საერთაშორისო ავიახაზების“ თვითმფრინავის გამოჩენა არ აწყობდა და კონკურენტი კომპანიის წინააღმდეგ კვლავ დაიწყო „ბრძოლა წესების გარეშე“. ამ ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის, ლევან ჭიჭინაძის ქმედებები, რომლებსაც ხახუტაიშვილი, „უკანონოს“ უწოდებს. საქმე შემდეგში მდგომარეობს: 2010 წლის 23 აპრილს, ლევან ჭიჭინაძემ №101 ბრძანების საფუძველზე, ავიაკომპანიის 35 სერტიფიკატის დანართში, დაუმატა ფრენის უფლება **SAAB**-340 ხომალდს, თუმცა იმავე დღეს, იმავე ლევან ჭიჭინაძემ, თავისივე ბრძანება №101 ბათილად ცნო და ბრძანება №105-ის საფუძველზე, გააუქმა ფრენის უფლება აღნიშნულ ხომალდს. ხახუტაიშვილი აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი არ ჰქონდათ, რაც მხოლოდ ერთ რამეს ადასტურებს — ლევან ჭიჭინაძე თამაზ გაიაშვილის „ფარულ ბრძანებებს“ ასრულებდა, გაიაშვილი კი თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებდა ბაზარზე მონოპოლიის შესანარჩუნებლად.

პატიმარი ბიზნესმენი აცხადებს, რომ გაიაშვილისა და ჭიჭინაძის გარდა, „საქართველოს საერთაშორისო ავიახაზების“ განადგურებას დავით ტყეშელაშვილი და გიორგი კარბელაშვილიც ცდილობდნენ: **„როცა ჭიჭინაძის მიერ დაიწყო ჩვენი განადგურება, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია იმ პერიოდში ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეკუთვნოდა. მინისტრი კი, სააკაშვილის „დიდ ოჯახში“ შემავალი დავით ტყეშელაშვილი გახლდათ. სწორედ მაშინ დაიწყო პროცესი, როცა ავიაციის კიდევ ერთი „მბრძანებელი“ ავიდა ტახტზე. ეს იყო „ბატონი“ კარბელაშვილი. მოგვიანებით, ავიაცია ინფრასტრუქტურიდან ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარეს, სადაც „მბრძანებელი“ კარბელაშვილი დაინიშნა ჩვენი სახელოვანი მინისტრის, „ვერას“ მოადგილედ. „ბატონი“ ტყეშელაშვილი კი გადაიყვანეს „ოჯახში“, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად“.**

„ვერსიის“ რესპოდენტის მტკიცებით, სწორედ სააკაშვილის „პოლიტიკური ოჯახის“ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილმა წევრებმა — კარბელაშვილმა, ტყეშელაშვილმა და გაიაშვილმა გადაწყვიტეს, საავიაციო ბაზარზე არავინ შემოეშვათ და ამგვარად დაეცვათ საკუთარი ინტერესები. სწორედ მათ მოაწერინეს ხელი ლევან ჭიჭინაძეს აბსურდულ ბრძანებებზე, რომელთა თანახმად, მან „საქართველოს საერთაშორისო ავიახაზების“ საფრენოსნო სერტიფიკატის ანულირება მოახდინა.

ხახუტაიშვილი დაწყებულ „გამოუცხადებელ ომში“ ჩაება და ისევ ატეხა სკანდალი — პრეს-კონფერენცია პრესკონფერენციაზე მოაწყო და ჭიჭინაძე ამხილა. ეს მოვლენები მერის არჩევნებს დაემთხვა და ხახუტაიშვილს აქტიურობა და ტელევიზიით ჩინოსნის ლანძღვა პოლიტიკურ ნაბიჯად ჩაუთვალეს, კომპანია გაუჩერეს და... თავი ციხეში უკრეს, როგორც პატიმარი ამბობს, აბსურდული, შეთითხნილი ბრალდებებით. საბოლოოდ, ჯემალ ხახუტაიშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე (გადასახადისთვის თავის არიდება), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება, გამოყენება) და 277-ე (სატრანსპორტო საშუალებების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ ჩაშვება) გაასამართლეს.

თუმცა, მხოლოდ ეს როდია. ხახუტაიშვილის წინააღმდეგ სხვა საქმეც „შეიკერა“. **„სააკაშვილი პროკურატურა, კუდ-ი და სოდ-ი, კომპრომატებს აგროვებდნენ და ხშირ შემთხვევაში თხზავდნენ არარსებულ ფაქტებს ეროვნულად მოაზროვნე ბიზნესმენთა წინააღმდეგ, რომლებიც ბედავდნენ და ჭეშმარიტად საბაზრო ჯანსაღი პრინციპების დამკვიდრებას ცდილობდნენ ჩვენ ქვეყანაში.**

**განსაკუთრებით, აღნიშვნას იმსახურებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ავიაციის „მბრძანებლების“ განრისხება, რაც იმან გამოიწვია, რომ 2010 წლის დასაწყისში ჩვენ დავიწყეთ რუსეთის ფედერაციასთან ფრენების (ჩარტერული) მომზადება. ეს ფაქტი ბოლო წვეთი იყო“,** — აცხადებს ხახუტაიშვილი.

2010 წლის პირველ ნახევარში, კომპანია „საქართველოს საერთაშორისო ავიახაზებმა“ რუსეთის იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს მიმართა წერილით, რათა მოეპოვებინა რუსეთ-საქართველოს შორის რამდენიმე მიმართულებით ჩარტერული რეისების განხორციელების ნებართვა. პუტინი უარზე არ იყო. ეს ფაქტი, ცხადია, არ გამოეპარა საქართველოს ხელისუფლებას. განსაკუთრებით, გაიაშვილს, რომელიც ამგვარი ფრენების განხორციელებაზე პრეტენზიას თავად აცხადებდა. საბოლოოდ, სააკაშვილის სამართალდამცავებმა და კარბელაშვილი-ტყეშელაშვილი-გაიაშვილის „ტრიომ“ აღნიშნული ფაქტი ხახუტაიშვილს, ლამის, სამშობლოს ღალატად შეუფასეს და დაიწყეს მისი დევნა. **„პუტინთან წერილი პოლიტიკურ აქტივობასა და მტერთან მეგობრობაში ჩამეთვალა. მე პოლიტიკური ხასიათის ბრძოლის დროს გაკეთებულ განცხადებებს შევეწირე. ჩემ მიმართ წამოყენებული ბრალდებები, კუდ-ს საქმის წარმოებაში ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე 2 წლით ადრე ჰქონდა. სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს ე.წ. აბსურდული, მაგრამ მათთვის (კუდ-ი) მტკიცებულებები, რომლებიც თარიღდება და „დასტურდება“ 2008-2009 წლების I ნახევრით. ისმის კითხვა: თუ ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულები იყო მათთვის ცნობილი 2008-2009 წლებში, რას და ვის უცდიდნენ ისინი 2 წელზე მეტ ხანს? ეს და ბევრი სხვა კითხვის ნიშანი თუ აბსურდი, რომელიც ჩემ მოღვაწეობასა და საქმეს თან სდევს, ადასტურებს, რომ პოლიტიკურად მებრძოდნენ. თავს პოლიტიკურ პატიმრად მივიჩნევ და იმედი მაქვს, ეკა ბესელია უყურადღებოდ არ დამტოვებს“.**

### ადამიანის უფლებათა ცენტრმა დავით ბაქრაძის განცხადებასთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართა

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებასთან დაკავშირებით, პროკურატურას მიმართა.

ცენტრის ინფორმაციით, 2 დეკემბერს, „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოსტ-სკრიპტუმის“ ეთერში ბაქრაძემ პოლიტპატიმართა სიებზე საუბრისას განაცხადა, თითქოს პარლამენტისთვის წარდგენილ სიაში იყო სამცხე-ჯავახეთში ჩადენილ დანაშაულზე გასამართლებული ადამიანი, რომლის სახელიც მან არ დაასახელა.

**„ბაქრაძემ განაცხადა, რომ არის კონკრეტული ადამიანი, რომელსაც სხვა საქმესთან ერთად, ბრალად ედება ქართული ეპარქიის დარბევის მცდელობა და ერთი ასეთი მცდელობის დროს, მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ მონაზონს. ამის შემდეგ, ბაქრაძის თქმით, მონაზონი ისე ცუდად გახდა, რომ იგი მკურნალობის მიზნით, საავადმყოფოშიც გადაიყვანეს. 24 ნოემბერს, ტვ „მაესტროს“ ეთერში, გადაცემა „პრეს-პრესში“ მოწვეულმა სტუმარმა, საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გოგა ხაჩიძემ ასევე ისაუბრა ვაჰაგნ ჩახალიანზე და განაცხადა, ვის მოუვიდა თავში ამ ადამიანის პოლიტპატიმართა სიაში შეყვანაო. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, გოგა ხაჩიძის მსგავსად, საუბრობდა ჩვენი ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფ ვაჰაგნ ჩახალიანზე, რომელიც არის სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან. მისი შეყვანა პოლიტპატიმართა სიაში რეკომენდებული იყო ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ“,** — ნათქვამია ცენტრის განცხადებაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი განმარტავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ვაჰაგნ ჩახალიანი წლებია, მის მიმართ დადგენილ უკანონო განაჩენს აპროტესტებს და მასში მონაზონის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი არსადაა მოხსენებული.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ბაქრაძის მიერ ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას — ცრუ დასმენას, რომელიც კანონით დასჯადია.

**„იგი არღვევს საქართველოს მოქალაქის უდანაშაულობის პრეზუმპციას და მიაწერს დანაშაულს, რომელიც სასამართლოს განაჩენის თანახმად, მას არ ჩაუდენია“.** ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მთავარ პროკურატურას მიმართა. ის საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის განცხადების შესწავლას და საქართველოს მოქალაქის ცრუ დასმენასთან დაკავშირებით, მის დაკითხვას ითხოვს.

ცენტრის ინფორმაციით, პოლიტიკური მოძრაობა „გაერთიანებული ჯავახკის დემოკრატიული ალიანსის“ ლიდერი და პოლიტიკური აქტივისტი ვაჰაგნ ჩახალიანი 2008 წლის ზაფხულში ახალქალაქში, მამასა და უმცროს ძმასთან ერთად დააკავეს. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით, ვაჰაგნ ჩახალიანს, სასჯელის სახით, თავისუფლების 10 წლის ვადით აღკვეთა განესაზღვრა.

*„პირველი“*

## „დედათა კომიტეტი“ მძიმე ავადმყოფი პატიმრების უპირობო გათავისუფლებას ითხოვს!



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება



**ციხის სკანდალური კადრების გავრცელების შემდეგ, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნას დათანხმდა, რომელიც ციხეებში არსებულ სიტუაციას ეცნობა. „ვერსია“ დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამჟამად ქართულ საპატიმროებში, გამოსწორდა თუ არა მდგომარეობა და რა პრობლემები რჩება მოუგვარებელი. ამის გასარკვევად მონიტორინგის ჯგუფის წევრს, „დედათა კომიტეტის“ თავმჯდომარეს, ქეთევან ადამიას ვესაუბრეთ:**

# მონიტორინგი ციხეებში

— „დედათა კომიტეტი“ 2 წლის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა ფართომასშტაბიან ამნისტიაზე. ეს საპატიმროების განტვირთვისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ციხეებს მძიმე ავადმყოფი პატიმრები დატოვებენ. წესით, ავადმყოფმა პატიმარმა უნდა გაიაროს სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც სახელმწიფოს 2000 ლარამდე უჯდება. ბიუჯეტი რომ არ დაზარალდეს, უნდა მოხდეს მძიმე ავადმყოფი პატიმრების შეწყალება. ან კი რა კომისია სჭირდება ისეთ პატიმარს, რომელიც ვერ დადის, ვერ მეტყველებს, ვერც ჭამს და დამოუკიდებლად საპირფარეშოშიც ვერ გადის? გარდა ამისა, უამრავი პატიმარი იხდის სასჯელს აბსურდული ბრალდებებით. მაგალითად, უსამართლოდაა დაპატიმრებული გაბილ ბაირამოვი, რომელიც ხახვს ყიდდა ბითუმად და იმიტომ დაიჭირეს, რომ თითქოსდა, ხახვზე საცალო ფასი ჰქონდა დადებული და არა — საბითუმო. ამისთვის მას დააკისრეს 1 მილიონამდე ლარის ჯარიმა. რასაკვირველია, ვერ გადაიხადა და 5 წლით ჩასვეს გლდანის ციხეში. მას 2-სართულიანი დანგრეული, დამპალი, სველი და ნესტიანი სახლი აქვს, სადაც ერთი მაგიდა და ერთი სკამიც კი არ არის, რომ მისი შვილი დაჯდეს და გაკვეთილები მოამზადოს. ტელევიზორი და მაცივარი ჰქონდათ განვადებით გამოტანილი და ისიც აღსრულების ბიურომ ჩამოართვა, ვითომ იმ ერთ მილიონში ცოტა მაინც გაუქვითეს. სახლი არ დააყადაღეს, რადგან უვარგისი იყო საცხოვრებლად. ასეთი ფანტაზიის უნარი ჰქონდა ადეიშვილს. ხახვის გამყიდველს რომ ასეთს გაუკეთებდა, სხვას რა დღეში აგდებდნენ, წარმოგიდგენიათ?

„დედათა კომიტეტი“ ასევე მოითხოვს, ახალმა ხელისუფლებამ და მთავარმა პროკურატურამ შეისწავლოს და გამოიძიოს შეწყალების კომისიის საქმიანობა. ისინი მრავალი წლის განმავლობაში არ იწყალებდნენ იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ. ასევე, არ იწყალებდნენ იმ პატიმრებს, რომლებსაც კანონით ეკუთვნოდათ შეწყალება.

**— ახლა რა მდგომარეობაა საპატიმრო დაწესებულებებში?**

— 2 ოქტომბრიდან საპატიმროებში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. შეწყდა ცემისა და წამების ფაქტები, მაგრამ იმდენად მძიმე მემკვიდრეობა დატოვა ყოფილმა ხელისუფლებამ, რომ ერთბაშად ამის გამოსწორება ძალიან რთულია. მძიმე მდგომარეობაა არასრულწლოვანთა დაწესებულებაში. კერძოდ, მე ვიცავ ლევან კოჩოიანს და გიორგი ინჯგიას, რომლებიც რუსთავის №17 დაწესებულებაში იმყოფებიან. ლევან კოჩოიანი ისეთი ნაცემი ჰყავთ გლდანის საპყრობილეში, რომ სასქესო ორგანოზე გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა. პატარა ბავშვები ჰყავთ ნაცემი და ნაწამები. სააკაშვილი და მისი რეჟიმი ადამიანებს ხულიგნობის შემთხვევაზე მკვლელობის მცდელობის მუხლებით ასამართლებდა. ეს იყო სადისტურ-ფაშისტური რეჟიმი, რომელიც მიზანმიმართულად აწარმოებდა გენოციდს. მართალია, პატიმრების ცემა და წამება აღარ ხდება, მაგრამ საპატიმრო დაწესებულებებში ისევ რჩებიან ნაცემი და ნაწამები ადამიანები. ასევე, არის გადატვირთულობის პრობლემა. ხათუნა კალმახელიძემ, საკნებში დამატებითი საწოლების შეტანით, პატიმრების რაოდენობის ლიმიტი გაზარდა. მაგალითად, ორთაჭალის „კრიტში“, მესამე სართული დაადგეს საწოლებს. ანუ, ჭერმა სადამდეც მისცა საშუალება, იქამდე დადგეს საწოლები. ფანჯრის გისოსებზეა „მიდუღებული“ საწოლები და ამ ფანჯრებს შუშები არ აქვს. გაუგებარია, როგორ უნდა დაიძინოს პატიმარმა ზამთარში ღია ფანჯარაში.

**ასევე, „დედათა კომიტეტი“ მოითხოვს ორთაჭალის №1 საპყრობილეს დახურვას. ყოვლად მიუღებელია, იქ ადამიანი ამყოფო. სამი სართული სველია, ერთი მეტრის სისქის კედლები გაჟღენთილია ათასნაირი დაავადებით. სანტექნიკა მწყობრიდანაა გამოსული. კედლებიდან წყალი ჟონავს. საკნებში ტარაკანები და სხვა მწერებია... კი მითხრეს, ვწამლავთო, მაგრამ ფაქტი სახეზეა, პატიმართან რომ შევედი საკანში, კარზე 20 ტარაკანა იჯდა. იქ ისეთი ანტისანიტარიაა, რომ პირუტყვის გაჩერებაც კი შეუძლებელია. ეს შენობა ისეა გაუბედურებული, რემონტიც ვერ უშველის — სასწრაფოდ უნდა დაიხუროს და დაინგრეს. იქ პატიმრების გაჩერება ბოროტებაა. პატიმრები მხოლოდ 40 წუთი გაჰყავთ ჰაერზე. თანამშრომლებიც კი ტუბერკულოზით არიან დაავადებულნი. გავრცელებულია კანის დაავადებები და ტუბერკულოზი. გადატვირთულობის გამო, ორთაჭალის „კრიტში“ დღემდე პატიმრებს მორიგეობით სძინავთ.**

**— როგორც ვიცით, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ციხე შეამოწმეთ, რა მდგომარეობაა სხვა საპატიმროებში?**

## რა მდგომარეობაა საპატიმროებში, რატომ არის სასწრაფოდ დასახური ორთაჭალის №1 ციხე და რატომ უჩნდებათ ქალპატიმრებს ონკოლოგიური დაავადებები?

— ყველგან მძიმე მდგომარეობაა. ჯანმრთელ პატიმარს იშვიათად ნახავთ. ვიყავი ქსანში ე.წ. ბურში, სადაც სასჯელს მკვლელები და მძიმე მუხლებით გასამართლებული პატიმრები იხდიან. იქაც რთული მდგომარეობაა. ბეტონის გაულესავ კედლებში ჰყავთ პატიმრები. სიცივე და ნესტია...

**მძიმე ვითარებაა ქალთა დაწესებულებაშიც. პატიმარი ქალები ბეტონის კედლებში ჰყავთ გამომწყვდეული. არც ერთი მათგანი ჯანმრთელი არ არის. როგორ შეიძლება ქალი 24 საათი ბეტონზე იდგეს?! ძირითადად, მათ ქალური დაავადებები ემართებათ. ყოველ მეორეს საშვილოსნოს აჭრიან. ანთება აქვთ, რომელსაც სათანადოდ ვერ მკურნალობენ და მერე ონკოლოგიური დაავადებები უყალიბდებათ. საპატიმროებში შიდსით დაავადებული უამრავი პატიმარია, რომელთაც არასათანადოდ მკურნალობენ. უამრავი პატიმრის წერილი მომდის და შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციასაც ვუგზავნი მთავარ პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს.**

დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება საპატიმრო დაწესებულებებში სხეულის დაზიანების ფაქტები. პატიმრები სხეულის დასაზიანებლად იყენებენ ე.წ. წვერის ერთჯერად საპარსს. შოკირებული ვიყავი, როცა მე-18 საპყრობილეში გამომიძახეს. პატიმარს მთელი ზურგი ბასრი საგნით, მწყობრად ჰქონდა დასერილი, ის ამას თვითონ ვერ გააკეთებდა. ასეთი არაერთი შემთხვევაა. მივმართავ სასჯელაღსრულების მინისტრს და შესაბამის უწყებებს, მიიღონ ისეთი ნორმატიული აქტი, რომ მკაცრი კონტროლის ქვეშ იყოს წვერსაპარსი, ბასრი საგანი. როდესაც პატიმარს დასჭირდება მხოლოდ მაშინ მიეწოდოს და ისიც ზედამხედველობის ქვეშ. ეს ძალიან საშიშია. ნერვული აშლილობების ფონზე, ზოგი უკონტროლო ხდება. ამიტომაც აქვს ადგილი სხეულის დაზიანებებს.

**— კვების პრობლემა ისევ მოუგვარებელია?**

— რასაკვირველია! არ შეიძლება პატიმარი „ბალანდაზე“ და ნახევრად მოხარშულ ბოსტნეულის სალათზე გყავდეს. მინდა, მივმართო სოზარ სუბარს, როგორც ე.წ. მატროსოვის ციხეში შედის ყოფილ პოლიციელებთან დედის მიერ მომზადებული სადილები, ისე უნდა მიეწოდებოდეს სხვა დაწესებულებებში მყოფ პატიმრებსაც. ყველა პატიმარი თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს.

**— ხომ შეიძლება, ასე ნარკოტიკი შევიდეს ციხეში?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ეს საფრთხე ნამდვილად არსებობს. კანონი და კონტროლი აუცილებლად უნდა გამკაცრდეს და ვისაც კი ამ დანაშაულში შეამჩნევენ, კანონის უმკაცრესი ზომით უნდა დასაჯონ. სჯობს, პატიმართან ნარკოტიკის შეტანის ფაქტზე უმკაცრესი სასჯელი იყოს, ვიდრე ამდენი პატიმარი უხარისხო საკვებს იღებდეს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავტომანქანის გაქურდვის 21 საქმე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავტომანქანის გაქურდვის 21 საქმე გახსნა. შსს-ს ინფორმაციით, ბათუმის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფის წევრები, 1998 წელს დაბადებული გიორგი შ. და 1996 წელს დაბადებული ანრი კ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 8 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე, დაკავებულებმა ბათუმის სხვადასხვა რაიონში 21 ძვირადღირებული ავტომანქანა დააზიანეს და გაქურდეს. როგორც გაირკვა, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ავტომანქანების საქარე მინებს „ატვიორტკითა“ და ქვებით აზიანებდნენ და გაყიდვის მიზნით, სალონიდან ფულს ან ნივთებს: ხელჩანთებს, მანქანის მაგნიტოფონებს, სხვადასხვა საბუთებს იპარავდნენ.

სამართალდამცველებმა ანრი კ.-ს სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით, ერთ-ერთი დაზარალებულის მაჯის საათი ამოიღეს. გამოძიებას რამდენიმე სხვა ნივთმტკიცებაც გააჩნია.

ორივე დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის (ქურდობა) III ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით დაიწყო.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## პროკურატურამ ეკონომიკის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავა

შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა დააკავა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი ნუკრი აბალაკი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურა იუწყება, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ აბალაკმა, მისი, როგორც შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს უფროსის უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა. კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს შიდა ქართლის სახ-



ელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს უფროსმა ნუკრი აბალაკმა, 2007 წლის 24 მაისს („სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“) კანონის დარღვევით საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის მიუხედავად, ხაშურის რაიონის სოფელ ბებნისში მდებარე 18.5 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასცა თ.ძ-ს. რითიც მას მიანიჭა უპირატესობა, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის დარღვევა.

მანვე, 2008 წლის 30 სექტემბერს კვლავ ბოროტად გამოიყენა სამსახურეობრივი უფლებამოსილება და სოფ. ხელთუბანში მდებარე 7.3 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პირად საკუთრებაში გადასცა — „სელექციური მიღწევებისა და ჯიშთა გამოცდის სადგურის“ ყოფილ დირექტორს ლ. გ-ს. აღნიშნული სადგურს თავის დროზე მიწა იჯარით ჰქონდა აღებული სახელმწიფოსაგან, მარამ მიწის პირდაპირი წესით მიყიდვისას სადგური აღარ არსებობდა, ლიკვიდირებული იყო.

ლიკვიდირებული მოიჯარე სახელმწიფო დაწესებულების — „სელექციური მიღწევებისა და ჯიშთა გამოცდის სადგურის“ ყოფილ დირექტორ ლ. გ-ზე, პირად საკუთრებაში მიწის პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემით, აბალაკმა ლ. გ-ს მიანიჭა უპირატესობა, რითაც არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

*„მედიანიუსი“*

### კანონპროექტი

# „ჩამონათვალი თუ არ გაკეთდა, პრეზერვატივი კი არა, შეიძლება ბარბი და კენიც სექსუალურ პროდუქტად ჩაითვალოს“





ნინო ხარშილაძე

საზოგადოება

**საქართველოს პარლამენტი თამბაქოსა და სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამირებისა და რეალიზაციის შესახებ აკრძალვების დაწესებაზე მუშაობს. შესაბამისი კანონპროექტები ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა უკვე მოამზადა. დოკუმენტის თანახმად, ცვლილებები შედის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და „რეკლამის შესახებ“ კანონში. იკრძალება თამბაქოსა და სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია. ასევე, ამ სახის პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე გამოიწვევს დაჯარიმებას ასი ლარით. 50-ლარიანი ჯარიმა წესდება იმ შემთხვევაში, თუ თამბაქოსა და სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე, ყველა სახის სამედიცინო (გარდა სექსუალური დარღვევების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის განკუთვნილი სამედიცინო ნაწარმისა) და სასწავლო დაწესებულებაში მოხდა.**

**50-ლარიანი ჯარიმა წესდება იმ შემთხვევაშიც, თუ ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციის ობიექტებში მოხდა ამგვარი პროდუქციის რეკლამირება. არასრულწლოვანთა მიერ თამბაქოს მოხმარების მავნებლობაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ამჯერად, „ვერსიის“ ინტერესი გამოიწვია სექსუალური ხასიათის პროდუქციის შესახებ გაკეთებულმა ჩანაწერმა. საინტერესოა, რა ითვლება სექსუალური ხასიათის პროდუქციად, რატომ გახდა საჭირო ამ კანონის მიღება და რა უარყოფითი თუ დადებითი მხარეები აქვს არსებულ კანონპროექტს. ამის გასარკვევად ექიმ სექსოლოგს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, პროფესორ ზურაბ მარშანიას ვესაუბრეთ:**

რა ლაფსუსები აღმოაჩინა პროფესორმა ზურაბ მარშანიამ სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამირება-რეალიზაციის კანონპროექტში

— ამ სახის სამართლებრივი რეგულირება მისასალმებელია. ეს კეთდება იმისთვის, რომ არ მოხდეს არასრულწლოვანების ფსიქიკაზე არასასურველი ზემოქმედება. თუმცა საერთოდ, ნებისმიერი სახის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დროს ყველაზე დიდი საფრთხე გაურკვევლობაა. ესა თუ ის ნორმატიული აქტი ინტერპრეტირების საშუალებას არ უნდა იძლეოდეს. ის მაქსიმალურად გასაგები უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, ეს კანონპროექტი გარკვეულწილად, რისკისა და საფრთხეების შემცველია. მიჩნდება ორი კითხვა: ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით — არ არის განმარტებული, რა არის სექსუალური ხასიათის პროდუქცია. ეს ტერმინი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და სამართალდამცავს აძლევს საშუალებას, სექსუალურ პროდუქციას მიაკუთვნოს სრულიად უვნებელი და უწყინარი ნივთებიც კი. ჩემი პირველი თხოვნა და რეკომენდაციაა, კანონმდებლებმა ეს ტერმინოლოგია დახვეწონ და შეიქმნას ჩამონათვალი, რა ჩაითვლება სექსუალური ხასიათის პროდუქციად. კარგი იქნებოდა, სექსოლოგებს, პედაგოგებსა და სხვა სპეციალობის ექსპერტებთან მოხდეს შეხვედრა.

სექსუალური დარღვევების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის განკუთვნილი სამედიცინო ნაწარმი მარტო მედიკამენტი კი არა, სხვა საშუალებებიცაა. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც უკეთესი იქნებოდა, გაკეთებულიყო ჩამონათვალი, რა არის სექსუალური დარღვევების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის განკუთვნილი სამედიცინო ნაწარმი.

თუ ამ კანონის სულისკვეთებაა, დაიცვას მოზარდი თაობა, ფსიქიკურად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანი იმ მავნე ზეგავლენისგან, რაც შეიძლება მოახდინოს პორნოგრაფიულმა პროდუქციამ, მაშინ, უნდა იყოს საუბარი არა სექსუალური ხასიათის, არამედ პორნოგრაფიული პროდუქციის შესახებ. აუცილებლად უნდა განისაზღვროს, რა არის პორნოგრაფიული ხასიათის პროდუქცია. ეს ნამდვილად საფრთხეა. თუ ამას ჩინოვნიკი საჭიროდ მიიჩნევს, შესაძლოა, ქალისა და მამაკაცის თეთრეული სექსუალური ხასიათის პროდუქტად ჩათვალოს. ამიტომ, დაფიქრებაა საჭირო. კიდევ ერთი უზუსტობა — არსებულ კანონპროექტში საუბარია აკრძალვების დაწესებაზე 18 წლამდელ მოზარდებზე მაშინ, როცა საქართველოში ქორწინების ასაკი 16 წლიდანაა დაშვებული. საკითხავია, ეს ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

**— ხომ შეიძლება, ამ კანონით 18 წლამდე მოზარდებზე კონდომის (პრეზერვატივი) მიყიდვაც აიკრძალოს?**

— თუ არ გაკეთდა ასეთი ჩამონათვალი, კონდომი კი არა, შეიძლება ბარბი და კენიც სექსუალურ პროდუქტად ჩაითვალოს იმიტომ, რომ ორივეს ძალიან სექსუალური გარეგნობა აქვს.

**— თუ შეზღუდვები დაწესდება 18 წლამდე მოზარდებზე კონდომის მიყიდვაზე, რა საფრთხეები არსებობს?**

— ამაზე საუბარიც არ მინდა. კონდომის გამოყენების აუცილებლობა, სექსუალური განათლების ისეთი პრიმიტიული დონეა, არ მინდა დავიჯერო, რომ კანონი ამის აკრძალვას შეიძლება ეხებოდეს. ეს არის ჩვენი მოსახლეობის სექსუალური გაუნათლებლობის კატასტროფულად სახიფათო დონე. ამ კუთხით გაუნათლებლობის დონე იმდენად მაღალია, რომ სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს ერის ჯანმრთელობას. კარგია, რომ საკითხი დარეგულირდება, მაგრამ ეს ისე არ უნდა მოხდეს, როგორც წინა ხელისუფლების დროს.

**— საქართველო არ არის განებივრებული ე.წ. სექსშოპებით. რატომ გახდა აუცილებელი კანონში ასეთი ცვლილებების შეტანა?**

— ესეც დასარეგულირებელია — ზრდასრულ ადამიანს სრული უფლება აქვს, ასეთი სახის პროდუქცია შეიძინოს, თუნდაც მისი ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე. სექსუალური ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის შემადგენელი ნაწილია. არის მთელი რიგი მდგომარეობები, მაგალითად სექსუალური დისფუნქციები, როცა ასეთი სახის მასალა ადამიანს სჭირდება კიდეც, თუნდაც სტიმულაციისთვის. მაგალითად, ფოსფოდიესტირაზა 5-ის ინჰიბიტორები, რომლის ერთ-ერთი სახე ვიაგრაა და რომელიც პირველი ხაზის თერაპიის სამკურნალო საშუალებაა მამაკაცის სექსუალური დისფუნქციის დროს. მას ინსტრუქციაში უწერია, რომ ვიზუალური სექსუალური სტიმულაციის გარეშე, ეს პრეპარატი არ მოქმედებს. მაშასადამე, მას სამკურნალო დანიშნულებაც აქვს. უნდა იყოს რეგულირებული, სად შეიძლება ზრდასრულმა ადამიანმა ასეთი პროდუქცია შეიძინოს. ასეთი სახის ნორმატიული აქტების შემუშავების დროს, მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ ექსპერტების მოსაზრებები და რჩევები. მზად ვარ, ამ პროცესში სრულიად უანგაროდ ჩავერთო.

**— თუ კი ამ კანონს ვინმე თავისებურად წაიკითხავს, ხომ შეიძლება იმ დახლისა თუ სექციის მეპატრონეც დაჯარიმდეს, სადაც ბავშვის სათამაშოების ან ტანსაცმლის გვერდით დახლზე ქალის თეთრეულს ყიდის?**

— რასაკვირველია, ამიტომაც უნდა იყოს ეს მკაცრად განსაზღვრული და რეგლამენტირებული.

**— ბრძანეთ, რომ პორნოგრაფიული პროდუქცია მოზარდის ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— ადამიანი განვითარების პერიოდში, როგორც ფიზიოლოგიური, ისე ფსიქოსექსუალური განვითარების სხვადასხვა სტადიებს გადის. არის ეროტიკული ლიბიდოსა და მერე სექსუალური ლიბიდოს ჩამოყალიბების სტადიები. ყველა სტადიას თავისი თავისებურებები და ნიუანსები აქვს. იმ პერიოდში, როცა პიროვნების ფსიქოსექსუალური განვითარება დასრულებული არ არის, ნებისმიერი სახის სტრესს შეუძლია მასზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ხასიათის ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემებში გამოიხატოს. მაგალითად, კომუნიკაციის სიძნელეები და ასე შემდეგ. ყველაზე ცნობილი და გავრცელებულია ფსიქოსექსუალური განვითარების რეტარდაციის (შეჩერების) სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ბევრ პრობლემას ქმნის, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში.

**— რა სტრესი შეიძლება მიაყენოს მოზარდს პორნოპროდუქციის ნახვამ?**

— მისი ფსიქოსექსუალური განვითარების პროცესი შეიძლება დაარღვიოს. მოზარდმა ვირტუალურად, ინტერნეტში კი არ უნდა უყუროს ყველაფერ ამას, მან უნდა გაიაროს ყველა პერიოდი. მოზარდი, თუნდაც ეროტიკული ლიბიდო რომ სწორად ჩამოუყალიბდეს, უნდა შეხვდეს გოგონებს, უნდა ესაუბროს და ისწავლოს საპირისპირო სქესთან ურთიერთობა. ამას რომანტიკული ხასიათი უნდა მიეცეს. როცა ამ დროს იჭრება ბრუტალური სცენები, ანუ პორნოგრაფია, ხდება ბავშვისა და მოზარდის ამოვარდნა ფიზიოლოგიური, ბუნებრივი ფსიქოსექსუალური განვითარების გზიდან. შესაბამისად, ეს დაკავშირებულია მთელი რიგი სექსუალური დისფუნქციების განვითარებასთან, რაც ძნელად განკურნებადია, რადგან ის დაკავშირებულია პიროვნების ფსიქოპატიზაციასთან, კომუნიკაციის პრობლემების გაჩენასთან და ასე შემდეგ. მერე უკვე ეს სექსოლოგების თავშისაცემია. ამიტომ გვინდა, რომ ყველაფერი სწორად გაკეთდეს.

# რა დარღვევებით აშენდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალი და რატომ არის კვლავ საცობები გმირთა მოედანზე

საბა ბექაური

**უკვე დიდი ხანია, შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დამოუკიდებელი ექსპერტი საგზაო დარგში ოთარ კერვალიშვილი ცდილობს, ხმა მიაწვდინოს მათ, ვისაც ამ სფეროში ჯერ კიდევ შეუძლია დაშვებული შეცდომების გამოსწორება და გასაკეთებელი საქმის გაკეთება. აქამდე მისი ხმა, როგორც იტყვიან, რჩებოდა, „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. როგორც უნდა გაგიკვირდეთ თემით, არც სპეციალისტები დაინტერესებულან. არადა, ბატონ ოთარს ეგონა, რომ მათ შორის ეს საკითხი გაცხოველებულ კამათს გამოიწვევდა. მხოლოდ ერთხელ ჰქონდა განცდა, თითქოს მისი რჩევები გაითვალისწინეს — სამი წლის წინ, ერთ-ერთ გაზეთში ზედიზედ სამი წერილის გამოქვეყნებისა და პრესკონფერენციის გამართვის შემდეგ, ორიოდე დღეში, თანამდებობიდან მოულოდნელად გაათავისუფლეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი. ეს ის ადამიანია, რომელმაც ბატონი ოთარის აზრით, „საბოლოოდ დაანგრია საავტომობილო გზების, მაშინ ჯერ კიდევ სახელმწიფო დეპარტამენტის აწყობილი სისტემა, რომელსაც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საფუძველი ჩაუყარა საგზაო დარგის ღვაწლმოსილმა მუშაკმა, აწ განსვენებულმა გიორგი რობიტაშვილმა“. არავინ იცის, მაშინ დალაქიშვილის გათავისუფლება კერვალიშვილის „დამსახურება“ იყო თუ არა. არაა გამორიცხული, ეს უბრალოდ, დამთხვევაც იყოს. მით უმეტეს, რომ კერვალიშვილის წერილებს სხვა მხრივ გამოხმაურება არ მოჰყოლია. თემით არც დღემდე დაინტერესებულა ვინმე, არადა, ბატონი ოთარი ამტკიცებს, რომ მის მიერ მოყვანილი არგუმენტები და მოსაზრებები, დღესაც ძალიან პროგრესული და აქტუალურია. „ვერსია“ „თავისუფალ ტრიბუნას“ ოთარ კერვალიშვილს უთმობს:**

## „მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დავაყენოთ საკითხი დავით ნარმანიას წინაშე...“



რას სთხოვს რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს საგზაო დარგში დამოუკიდებელი ექსპერტი, აკადემიკოსი ოთარ კერვალიშვილი

— ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ ერთ სფეროზე. ჯერ კიდევ 1990 წლიდან საავტომობილო გზების სამინისტროში და შემდეგ, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტში მოქმედებდა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის ბიურო, რომელიც 1992 წელს, მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით, გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად — პროექტების ექსპერტიზის სამმართველოდ. საპროექტო ან სამშენებლო ორგანიზაციის მიერ შესრულებული პროექტის საინჟინრო-კონსტრუქციულ ნაწილსა და ხარჯთაღრიცხვას მაღალკვალიფიციური ექსპერტები განიხილავდნენ, წერდნენ სათანადო დასკვნას, რომელსაც უგზავნიდნენ დამკვეთს, დამპროექტებლებისა და ექსპერტების აზრების შეჯერების შემდეგ კი, უკვე შეთანხმებულ პროექტს ეკონომიკის სამინისტრო ამტკიცებდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდა პროექტი მშენებელთან. ეს თითქოსდა ხანგრძლივი პროცედურა გრძელდებოდა მაქსიმუმ 1-1,5 თვე. შემდეგ დაინერგა პროექტების შესრულება ექსპერტების მონაწილეობით პარალელურ რეჟიმში, რამაც კიდევ უფრო შეამცირა დრო. ამ აწყობილი სქემით მუშაობდა ექსპერტიზა 2005 წლამდე. მინიმუმამდე იყო დაყვანილი უხარისხო პროექტის მოხვედრა მშენებელთან. ეს კი გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა დარგის ხელმძღვანელს.

**— ეს პროცედურა დარგის ხელმძღვანელს რატომ არ აწყობდა?**

— იმიტომ, რომ ამ ვითარებაში ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთული იყო. ეს ფაქტი ვერ აიტანა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახლადდანიშნულმა თავმჯდომარემ, რომან დალაქიშვილმა და სისტემურად დაიწყო წერილების დაგზავნა საქართველოს მთავრობასა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ექსპერტიზის სამსახურის გაუქმების მოთხოვნით. მე მაქვს იმ წერილების ასლები, რომლებიც ეგზავნებოდა პრემიერ-მინისტრებს: ჯერ ჟვანიას, შემდეგ ნოღაიდელს, ასევე ეკონომიკური განვითარების მაშინდელ მინისტრებს — რეხვიაშვილს, თურნავას, შარაშიძეს და სხვებს. მათში დალაქიშვილი აყენებს საკითხს ექსპერტიზის გაუქმების შესახებ. მისი არარენტაბელურობის გამო, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მაშინდელ მოადგილეს გენრიხ მურადიანს, რომელიც მაშინ საავტომობილო გზების დარგს კურირებდა, გავუგზავნე ექსპერტიზის სამმართველოს ხუთი წლის მუშაობის ანალიზი, სადაც ნათლად ჩანდა ექსპერტიზაზე დახარჯული თანხები და მის მიერ გასინჯული პროექტების კორექტირების ეფექტურობიდან მიღებული შესაძლო ეკონომია.

**— წერილის გაგზავნის შემდეგ რა შეიცვალა, რამე შედეგი მიიღეთ?**

— სამწუხაროდ, ამან შედეგი არ გამოიღო და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ექსპერტიზის სამსახური, რომელიც სხვადასხვა სტატუსით მოქმედებდა ჯერ კიდევ 1990 წლიდან, გააუქმეს 2005 წელს, ფაქტობრივად, გადააყოლეს დეპარტამენტის სახელმწიფო სტატუსის გაუქმებას. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის სამმართველო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილი იყო საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით, ასევე უნდა გაუქმებულიყო მოქმედი პრეზიდენტის ბრძანებულებით. ეს არ მომხდარა. ამ საკითხზე 2006 წელსვე მივმართე ეკონომიკის სამინისტროს, მაგრამ დეპარტამენტის თავმჯდომარე დალაქიშვილი და პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი ერთი გუნდის წევრები იყვნენ და ჩემ თხოვნას ვინ დააკმაყოფილებდა? 2005 წლის დეკემბრიდან ექსპერტიზის სამსახურმა მუშაობა გააგრძელა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საწარმოთა მართვის სააგენტოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ სტატუსით.

**— რამდენად ეფექტური იყო ექსპერტიზის სამსახურის მუშაობა და იყო თუ არა აუცილებელი მისი არსებობა?**

— ექსპერტიზის სამსახურის ეფექტურობაში რომ დაგარწმუნოთ, მოგახსენებთ რამდენიმე ფაქტის შესახებ:

ექსპერტიზის სამსახურს 2006-2008 წლებში შედგენილი აქვს საექსპორტო დასკვნები ისეთ ობიექტებზე, როგორიცაა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის კმ 27-კმ 43 ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის I რიგის, კმ 43-კმ 55 აღაიანი-იგოეთის, კმ 55-კმ 80 იგოეთი-სვენეთის და კმ 80-კმ 95 სვენეთი-რუისის მონაკვეთები. ამ პროექტებში, ექსპერტიზის მოთხოვნით, შეტანილი იქნა მთელი რიგი ძირეული ცვლილებები. მაგალითად, კმ 55-კმ 80 — იგოეთი-სვენეთის მონაკვეთში, რომელიც შედგენილი იყო ესპანური ფირმა „ინოქსა ინხენერიას“ მიერ, ექსპერტიზის კატეგორიული მოთხოვნით, თავიდან დაპროექტდა იგოეთის გზაგამტარის ბურჯები, რომელიც აშენებული იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში, ამავე მონაკვეთში იგოეთისა და ლეხურას გზაგამტარების გაბარიტი, ექსპერტიზის მოთხოვნით, გაზრდილი იქნა 8.25 მ-დან 11.5 მეტრამდე, ესპანურ საპროექტო ფირმას მოუხდა ახალი პროექტის გამოშვება, რომელიც რასაკვირველია, ჩვენ ფირმას აღარ გადმოსცეს ექსპერტიზისთვის, თორემ ამ ახალ პროექტშიც კი შევიტანდით ჩვენს მოთხოვნას, რომ მდ. ლეხურაზე საპროექტო გზაგამტარის ბურჯები ამაღლებულიყო დაახლოებით, 1.5 მ-ით, რათა იგოეთის გზაგამტარიდან ლეხურას გზაგამტარზე გადასვლა მომხდარიყო უფრო მდორედ (ნაკლები ქანობით), ხოლო საავტომობილო გზის მონაკვეთის მიწის ვაკისი, ლეხურას გზაგამტარიდან არქეოლოგიური გათხრების მიმდებარე მონაკვეთამდე აიწეოდა 2-2.5 მ-ით, არსებული რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა. გზაც აღარ იქნებოდა ჩავარდნილი და უფრო ლამაზადაც ჩაიწერებოდა ლანდშაფტში.

ამჟამად მშენებარე, კმ 80-კმ 95 სვენეთი-რუისის მონაკვეთის პროექტში ექსპერტიზის მოთხოვნით შეიცვალა 877 მ-იანი გზაგამტარის ბურჯების კონსტრუქციები და შემცირდა გზაგამტარის გრძივი ქანობი 5%-დან 2.5%-მდე. ამავე დასკვნაში დაყენებული იყო საკითხი გვირაბების საჭიროების შესახებ და თუ ზემდგომი ორგანოები მაინც გადაწყვეტდნენ გვირაბის აშენებას, მაშინ მათი გაბარიტი უნდა გაზრდილიყო 5 მ-მდე სიმაღლეში და 10 მ-მდე სიგანეში (ვინაიდან გვირაბები მრუდზე იყო დაპროექტებული) და ა.შ. ახლა, როცა სათავეში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება, იმედი მოგვეცა, რომ გამოსწორდება ამდენი უსამართლობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას წინაშე დავაყენოთ საკითხი დარგობრივი (საავტომობილო გზებისა და ხიდების, წყალსადენების, ნაპირსამაგრი სამუშაოების და ა.შ.) პროექტების ექსპერტიზის სამსახურის აღდგენის შესახებ შესაძლო მოკლე ვადაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით.

**— შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინს“ რა ბედი ეწია?**

— 2008 წელს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მაშინდელი მინისტრის ე. შარაშიძის ბრძანებით, ერთ ორგანიზაციად გააერთიანეს საწარმოთა მართვის სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი ხუთი ორგანიზაცია (3 საპროექტო და 2 საექსპორტო). მიუხედავად იმისა, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო საპროექტო და საექსპორტო ორგანიზაციების გაერთიანება არ შეიძლებოდა, ეს შეერთება მაინც მოხდა. შედეგი იყო ის, რომ შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინმა“, რომელიც მცირერიცხოვანი (7 კაცი), მაგრამ მაინც მომგებიანი ორგანიზაცია იყო და რომელსაც საკუთრებაში არ გააჩნდა არც მიწა და არც შენობა-ნაგებობა, შეწყვიტა არსებობა. უმუშევარი დარჩა მაღალი კვალიფიკაციის ხუთი ექსპერტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მექანიკურად გაერთიანებული ხუთი ორგანიზაციიდან შექმნილი ერთი ორგანიზაცია, დღეისთვის „სულს ღაფავს“ და გაკოტრების პირასაა. ესაა გაუაზრებელი მოქმედების შედეგი. თუმცა, „გაუაზრებელი მოქმედებები“ ვიღას აკვირვებს — კიდევ ერთ საკითხზე გიამბობთ: ბოლო დროს დანერგილი ელექტრონული ტენდერებით გამარჯვებული ორგანიზაციის გამოვლენას, დადებითთან ერთად, თან სდევს ერთი, მეტად არასახარბიელო მოვლენა. რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2011 წელს ერთ-ერთი სახის საპროექტო-საძიებო სამუშაოებზე გამოაცხადა ტენდერი და საკონტროლო ციფრად დადო 2 500 000 ლარი. უნდა ითქვას, რომ იმ სამუშაოების მოცულობა, რომელიც გათვალისწინებულია ამ ტენდერით, იმდენად სერიოზულია, რომ გარკვეულწილად, საკონტროლო ციფრად გამოტანილი ღირებულებაც არასაკმარისია, მაგრამ რეალურთან მაინც ახლოსაა. ტენდერის დამთავრებისას გაირკვა, რომ გამარჯვებულმა ორგანიზაციამ წარმოადგინა თავისი ფასი 500 000 ლარი, რომელიც აშკარად დემპინგური, ანუ შიდა ბაზრის ფასებთან შედარებით, განზრახ შემცირებულია. ამ ფასად იმ სამუშაოების ხარისხიანად შესრულება ყოვლად წარმოუდგენელია. ანალოგიური შემთხვევა მოხდა თბილისის მერიის მიერ მაისში გამოქვეყნებულ ტენდერზე, სადაც საკონტროლო ციფრად გამოტანილი იყო 1 050 000 ლარი. ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ აქაც გამარჯვებულმა ორგანიზაციამ წარმოადგინა აშკარად დემპინგური ფასი 500 000 ლარი. ახლახან საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ერთ-ერთი ტენდერის (საინჟინრო-საპროექტო მომსახურების ხაზით) საკონტროლო ციფრად გამოიტანა 500 000 ლარი. ვაჭრობის შემდეგ გაიმარჯვა ორგანიზაციამ, რომელმაც წარმოადგინა 198 000 ლარი. ვფიქრობ, სამივე შემთხვევაში გამარჯვებული ორგანიზაცია უნდა მოხსნილიყო ტენდერიდან.

**— თუ ასეა, ეს ორგანიზაციები რა მიზეზით არ მოხსნეს ტენდერიდან?**

— ჩვენი კანონმდებლობა ამ პროცედურებს არ ითვალისწინებს. ზემოხსენებულ სამივე შემთხვევაში შეთავაზებული სატენდერო სამუშაოების ღირებულება 4 მილიონ ლარზე მეტი იყო, გამარჯვებულმა ორგანიზაციამ კი წარმოადგინა 1,198 მილიონი ლარი ანუ 2,852 მილიონი ლარით ნაკლები. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ტენდერის გამომცხადებელი უკეთეს შემთხვევაში არაკომპეტენტური, ან უბრალოდ კორუფციონერი და დამნაშავეა. სინამდვილეში კი არაკომპეტენტურია აშკარად შემცირებული თანხის შემთავაზებელი, რომელიც ავანტიურაზე მიდის, რათა ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდეს. ამით აშკარად ზარალდებიან ის საპროექტო ფირმები, რომლებსაც მართლაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავთ. ამის შემდეგ ზარალდებიან სამშენებლო ფირმები, რომლებსაც „ნახევარფაბრიკატი“ (უხარისხო) პროექტებით უხდებათ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება და უკვე მშენებლობის პროცესში მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ვარდებიან. შედეგად ვიღებთ უამრავ გაკოტრებულ (ან გაკოტრების ზღვარზე) მისულ ფირმას (მაგ. „გზამშენი-11“ „დ და გ ტექნოლოგი“, „გზამშენი-4“ „საქართველოს ავტობანი“ და ა.შ.) ამ ფირმების უკან კი ათობით და ასობით გაუბედურებული ადამიანი დგას, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს და ხელფასის ანაზღაურებაც ვერ მიიღეს.

**— სამაგიეროდ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო სიამაყით აცხადებს, რომ ელექტრონული ტენდერების მეთოდმა გაამართლა და სახელმწიფომ ამ სახით 100 მილიონი ლარის (თუ მეტის) ეკონომია გააკეთა.**

— ასე აცხადებს, მაგრამ... ფაქტობრივად, დღეს, ამ უხარისხო პროექტებს, შემმოწმებელი არ ჰყავს. დარგობრივი ექსპერტიზა არ არსებობს, თორემ პირველივე შემთხვევაში დაუბრუნებდა საპროექტო ორგანიზაციას თავის „მაკულატურას“ და ამის შემდეგ იგი ველარ გაბედავდა უხარისხო პროექტის გამოშვებას.

**— უხარისხოდ, მაგალითად, რომელ პროექტებს მოიხსენიებთ?**

— მე არ ვიცი, ჩაუტარდა თუ არა ექსპერტიზა ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალის პროექტს, რომელიც მთლიანობაში დადებით მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს თვით გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი. მაგალითად, ისევ საცობებია ვერის მხრიდან კოსტავას ქუჩაზე ჩამომავალ და უშუალოდ, მოედანზე სადგურისა და საცურაო აუზის მხარეს მიმავალ ტრანსპორტს შორის.

**— ამის მიზეზი რა არის?**

— ესტაკადის გაბარიტები აშკარად არასაკმარისია. არსებული რელიეფი საშუალებას იძლეოდა, ტელევიზიის მხრიდან ჩამომავალი ტრანსპორტი ესტაკადაზე ასულიყო მარჯვენა მხრიდან და ა.შ.




# საქართველო ამბობს, რომ ყოფილი ჩინოვნიკების დაპატიმრება არ არის რევანში

**მარგარიტა ანთიძე**

Chicago Tribune
ONLINE EDITION

თბილისი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხობს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების კითხვებს კუდიანებზე პოლიტიკური ნადირობის შესახებ და იცავს უამრავი ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრებას.

20-ზე მეტი ჩინოვნიკი დააკავეს და ზოგიერთ მათგანს ძალაუფლების გადამეტებაში წაუყენეს ბრალი მას შემდეგ, რაც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ბიძინა ივანიშვილის, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის კოალიციამ ხელისუფლებაში პრეზიდენტ სააკაშვილის პარტია შეცვალა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უარყოფს, რომ დაპატიმრებები პოლიტიკური ანგარიშსწორების ნაწილია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, ტრანზიტულ ქვეყანაში, სადაც ევროპისკენ მიმავალი კასპიის ნავთობი გადის.

**„არავინ დაუპატიმრებიათ პოლიტიკური მოტივით. ჩვენ აღვადგენთ სამართლიანობას და ჩვენს საზოგადოებას სიმართლეს ვეუბნებით თითოეულ ამ დაპატიმრებაზე“,** — უთხრა 30 წლის მინისტრმა „როიტერს“.

**„ამ ქვეყანაში აღარ უნდა არსებობდეს პრივილეგირებული კასტა“,** — განაცხადა მან, — **„თუ ვინმე ჩაიდენს დანაშაულს, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ეს პიროვნება, ვინმე ჩვენი რიგებიდან, თუ პოლიტიკური ოპონენტი, ჩვენ ნებისმიერს კანონის მთელი ძალით ვაგებინებთ პასუხს“.**

დაპატიმრებულთა შორის არიან ღარიბაშვილის წინამორბედი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე, მისი ერთ-ერთი მოადგილე და ორი სამხედრო მეთაური. ჩინოვნიკებს წაყენებული აქვთ სხვადასხვა ბრალდება, დაწყებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, უკანონო დატუსაღებით დამთავრებული.

ნატო-მ და ევროპის კავშირმა უსაყვედურეს ივანიშვილს დაპატიმრებების გამო, გასულ თვეს, ბრიუსელში მისი ვიზიტის დროს, სადაც იგი ცდილობდა, განემტკიცებინა კავშირები დასავლეთთან და შეერყია ოპოზიციის ბრალდებები მისი პრორუსულობის შესახებ.

გასულ კვირას შეერთებულმა შტატებმა გაფრთხილება მისცა საქართველოს, არ გაჰყვეს უკრაინის გზას და არ დაიწყოს კუდიანებზე ნადირობა. დასავლურმა მთავრობებმა საქართველოს მოუწოდეს, გამოძიება ჩაატაროს გამჭვირვალედ და სამართლიანად.

მიუხედავად კრიტიკისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შაბათს დაკითხა ყოფილი პრემიერმინისტრი ვანო მერაბიშვილი. ის ეჭვმიტანილია ყალბი დოკუმენტების გამოყენებასა და საზღვრის არალეგალურად გადაკვეთაში. მერაბიშვილმა ამას ყოფილი ოფიციალური პირების დევნის კამპანიის ნაწილი უწოდა, მაგრამ ღარიბაშვილის კომენტარი იმის მიმანიშნებელია, რომ მთავრობა გააგრძელებს იმ ყოფილი ოფიციალური პირების დევნას, ვინც ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში. მან არ გამორიცხა, რომ განხორციელდება იმ ყოფილი მაღალჩინოსნების დევნაც, ვინც დატოვა საქართველო არჩევნების შემდეგ.

რეფორმა, რომლის თანახმადაც სუსტდება პრეზიდენტის ძალაუფლება და ძლიერდება პარლამენტი, ძალაში შევა მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ამ არჩევნებში სააკაშვილი მონაწილეობას ველარ მიიღებს.

მაგრამ ახლა ის სახელმწიფოს მეთაურია, ევროპა და შეერთებული შტატები კი ფრთხილად ეკიდებიან რუსეთის ნებისმიერ გავლენას საქართველოზე და ივანიშვილსა და სააკაშვილს კოჰაბიტაციის პერიოდში თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ.

### სამინისტროს რეორგანიზაცია

სააკაშვილმა, რომელიც ხელისუფლებაში 9 წლის წინ მოვიდა, ალაგმა წვრილმანი კორუფცია. დამოუკიდებელი ორგანიზაციის „მსოფლიო სამართლის პროექტის“ კანონის უზენაესობის ინდექსის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო იმ ქვეყნებს შორის, სადაც საშუალოზე დაბალი შემოსავალია, საუკეთესოა კორუფციის არარსებობის, მარეგულირებელი ინსტიტუტების, სამოქალაქო და კრიმინალური მართლმსაჯულების კონტექსტში.



მაგრამ 2007 და 2011 წლებში, მისი მმართველობის წინააღმდეგ გამართული ქუჩის საპროტესტო აქციების დარბევამ, შედეგად გამოიღო ოპოზიციის ბრალდებები, რომელთა თანახმად, მისი მმართველობა ავტორიტარული იყო და ის პოლიციას ოპონენტების დასასჯელად იყენებდა.

ღარიბაშვილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს „რებრენდინგში“ და პოლიციის წვრთნაში ამერიკელი ინსტრუქტორები დაეხმარებიან.

**„ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციისადმი შეიცვლება რამდენიმე თვეში. გასული რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიცია ძალიან პოლიტიზებული იყო, ის უბრალოდ, ყოფილი მმართველი გუნდის ინსტრუმენტს წარმოადგენდა“.**

მან განაცხადა, რომ სამინისტროს სპეციალური ოპერატიული და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტები, რომლებიც კრიტიკოსების თქმით, პოლიტიკურ ოპონენტებს იღებდა მიზანში, დაიშალა, მაგრამ დასძინა, რომ წმენდები არ ჩატარებულა და სამინისტროს 40 000 თანამშრომლიდან 1 პროცენტზე ნაკლები გათავისუფლდა სამსახურიდან ან გადავიდა სხვა თანამდებობაზე მას შემდეგ, რაც ღარიბაშვილი მინისტრად დაინიშნა.

***foreignpress.ge***

# „საქართველო ევროპას ეკუთვნის“

**ალისე ბოტა**

DIE ZEIT

**მაია ფანჯიკიძე საქართველოს საგარეო საქმეთა ახალი მინისტრია. ინტერვიუში ის ევროპაზე დამყარებული იმედებისა და სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან გაერთიანების შესახებ ჰყვება.**



**— ქალბატონო მინისტრო, თქვენ ადრე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლი იყავით. მის მთავრობას საქართველოს ელჩის სახით წარმოადგენდით. დღეს საგარეო საქმეთა მინისტრი და მისი მოწინააღმდეგე ხართ. როდის მოხდა გარდატეხა?**

— ჩემთვის პრობლემა იყო, ჩემი ქვეყნის წარმომადგენელი ვყოფილიყავი. ისევე როგორც მთავრობა, საქართველოსთვის ერთადერთ გზად ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციას ვხედავდი. არ მინდოდა წასვლა, მე გამიშვეს. ჩემმა სიძემ, რომელიც გაერო-ში ელჩი იყო, ოპოზიციური პარტია შექმნა. მთავრობის აზრით, მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო, თუკი თავიდან მომიცილებდა.

**— თქვენი სიძის გამო?**

— ეს არაოფიციალური განმარტება იყო. ოფიციალური არ ყოფილა.

**— რატომ გადაწყვიტეთ დაახლოებოდით მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც დაუპირისპირდა და შემდეგ დაამარცხა კიდეც სააკაშვილი?**

— ელჩობიდან ჩემი დათხოვნის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი. ყველაფერი ყელში მქონდა ამოსული. დავიწყე გერმანული ენის სწავლება. მერე მოვიდა ივანიშვილი. უცებ ნათელი გახდა, რომ ქვეყანას შანსი გაუჩნდა. რადგან მას შეეძლო დაქსაქსული ოპოზიციის გაერთიანება. ივანიშვილმა მაშინვე აარჩია თავისი პარტნიორები...

**— ...ბევრი სხვადასხვა პარტია.**

— ექვსი პარტიაა, მათ შორის მხოლოდ სამია დიდი. რამდენიმე თვის შემდეგ ივანიშვილმა მკითხა, ხომ არ ვიმუშავებდი პარტიის საგარეო პოლიტიკურ პროგრამაზე. ასე მოვხვდი იქ. ძალიან მალე მისი სპიკერი გავხდი.

**— თქვენი კოალიცია ძალიან ჭრელია. ამან იმუშავა, რადგან ერთი მოწინააღმდეგე გყავდათ: მიხეილ სააკაშვილი. ახლა ის დამარცხებულია – თქვენს კოალიციას კი დაშლა ემუქრება.**

— ასეც რომ იყოს: სად არის პრობლემა? ჩვენი კოალიცია სამი დიდი პარტიისგან შედგება. თუ ისინი ერთ დღეს კონკურენტებად გადაიქცევიან, ეს მხოლოდ ჯანსაღი პროცესი იქნება. მაგრამ ამ დროისთვის, ამის საფრთხე არ არსებობს. ჩვენ ერთობლივად, მნიშვნელოვანი ამოცანები გვაქვს შესასრულებელი. ის, რაც ივანიშვილს ფანტასტიკურად შეუძლია, არის კარგი მენეჯმენტი. მან რადიკალურად განსხვავებული ადამიანები ერთ გუნდად აქცია. ეს აქამდე არავის გამოსვლია.

**— რაც მას კარგად არ გამოსდის, ეს პატიებაა.**

— რატომ?

**— ბატონი ივანიშვილი პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს, რომელიც 2013 წლის ოქტომბრამდე სახელმწიფოს მეთაურად რჩება, მრავალი ყოფილი მინისტრია დაპატიმრებული...**

— ჩვენ, როგორც ოპოზიციამ, ყველაფერი გადავიტანეთ: დათხოვნები, დაპატიმრებები, ექსპროპრიაცია. არ გვესროლეს, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი გაგვიკეთეს. ჩვენ გვდევნიდნენ. ვფიქრობ, ყველაფერი, რაც მოხდა, გაანალიზებული უნდა იყოს.

**— არჩევნებში თქვენი გამარჯვება არ არის იმის მაჩვენებელი, რომ ზეწოლა არც ისე დიდი იყო?**

— არა! ქართველი ხალხი მამაცია და მან არჩევანი გააკეთა. ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებას გავუკეთეთ მობილიზება. ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც სტუმრად ჩამოდიოდა, ხაზს უსვამდა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს არჩევნები. სააკაშვილის მთავრობაზე ზეწოლა დიდი იყო. ჩვენ ის კიდევ გავაძლიერეთ. ამან აიძულა სააკაშვილი, უკან დაეხია. მაგრამ ახლა ჩვენ არ შეგვიძლია ისე მოვიქცეთ, თითქოს არაფერი მომხდარა და სააკაშვილი მსოფლიოს უდიდესი დემოკრატია. ჩვენ არ უნდა ვაპატიოთ ყველაფერი. სამართლიანობა უნდა აღდგეს. ეს კრიმინალების დასჯასაც გულისხმობს.

**— თქვენ მძიმე მემკვიდრეობა გადაიბარეთ: სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახით ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი დაკარგეთ, რომელიც გსურთ, ახლა უკან დაიბრუნოთ. ეს უტოპიაა!**

— სულ ერთია ვინ იქნება საქართველოს მთავრობა: ის ერთი დღე ვერ იარსებებს, თუკი იტყვის, რომ არ იბრძოლებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ან არ გაჰყვება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას. არ არსებობს ევროპაზე უკეთესი რამ და საქართველო ევროპას ეკუთვნის.

**— ეს იდეები დიდი ხანია არარეალურ სურვილებად იქცა.**

— 1979-1983 წლებში იენაში ვსწავლობდი. მაშინ ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, საქართველო რამდენიმე წელიწადში დამოუკიდებელი გახდება, გერმანია გაერთიანდება და შენ ჯერ ელჩი გახდები და შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრიო, ვიფიქრებდი, ამას ექიმი სჭირდება-მეთქი. მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა!

**— რა ნაბიჯები უნდა გადადგათ თქვენ მიერ ნახსენები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით?**

— ჩვენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისთვის ისევ მიმზიდველნი უნდა გავხდეთ. მათ უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ ღირს ჩვენთან თანამშრომლობა და საქართველოში ცხოვრება.

***foreignpress.ge***

# სად იცხოვრებთ ყველაზე კომფორტულად?



ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინ გამოცემა **The Economist Intelligence Unit**-მა იმ ქვეყნების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლებიც საშუალოვადიან პერსპექტივაში ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოები გახდებოდნენ. მაშინ სიაში ლიდერის ადგილი აშშ-მ მოირგო. 1988 წლისთვის სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იყო საუკეთესო ქვეყანა ბავშვის გასაჩენად, რადგან, მკვლევარების ვარაუდით, ორ ათეულ წელიწადში ის პლანეტაზე ყველაზე განვითარებული ქვეყანა იქნებოდა. ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოს პოლიტეკონომიკურ რუკაზე ძალები სხვაგვარად გადანაწილდა, მეცნიერებმა კი თავიანთ პროგნოზებს მეტი სიზუსტე შესძინეს. მოკლედ, იმ ქალებისთვის (და არა მარტო მათთვის), ვინც 2013 წლისთვის ბავშვის გაჩენას აპირებს, საინტერესო იქნება იმ ქვეყნების რეიტინგი, სადაც მათ შვილებს წარმატებული მომავალი ექნებათ.

ამჯერად, სიაში პირველ ადგილზე შვეიცარიაა, სადაც მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ქონება ინახება. რეიტინგის პირველ ათეულში ევროპის კიდევ რამდენიმე ქვეყანა მოხვდა, თუმცა ევროკავშირის წევრი მხოლოდ ნიდერლანდებია, რომელსაც მერვე ადგილი მიაკუთვნეს. ტოპ-ათეულის მესამე, მეოთხე და მეხუთე პოზიციებს ნორვეგია, შვედეთი და დანია ინაწილებენ.

თუ შვილის გაჩენას შვეიცარიაში ან სკანდინავიაში ვერ მოახერხებენ, ავსტრალიაც არაა ურიგო — ის ლიდერთა ათეულის მეორე ადგილზეა. მეექვსე და მეშვიდე საფეხურებს დასჯერდნენ სინგაპური და ახალი ზელანდია. მეცხრეზე კანადა აღმოჩნდა, ტოპ-ათეულს კი ჰონგკონგი ასრულებს. 25 წლის წინანდელი ლიდერი ამერიკა ამჯერად მხოლოდ მე-16 ადგილზე აღმოჩნდა, მეორე ათეულში შევიდნენ ტაივანი, ბელგია, ფინეთი, ირლანდია, ავსტრია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, სამხრეთ კორეა და ისრაელი. თუ გამოცემის მკვლევარებს დავუჯერებთ, ყოფილი სოციალისტური ბლოკიდან ყველაზე პერსპექტიული ჩეხეთია 28-ე ადგილით, ასევე სლოვენია და პოლონეთი.



## კორეელ ბავშვებს სიმაღლეში გასაზრდელად მკურნალობენ

სამხრეთ კორეაში ახალი გატაცების ტალღა აგორდა. ითვალისწინებენ რა საერთაშორისო მკვლევარების აზრს, რომ სიმაღლე კარიერაში წინსვლას უწყობს ხელს, ქვეყნის მცხოვრებლები ტრადიციულ თუ არატრადიციულ მეთოდებს მიმართავენ, ოღონდ კი საკუთარი პირმშოები როგორმე სიმაღლეში გაიზარდონ. ზრდის მრავალრიცხოვან კლინიკებში ლამის რიგები დგას, სადაც მსურველებს ჰორმონოთერაპიას, ტრადიციულ აღმოსავლურ მეთოდებს, სპეციალურ ვარჯიშებსა და ბევრ სხვა რამეს სთავაზობენ. ჩვენს საზოგადოებაში ყველაფერი გარეგნობაზეა დამოკიდებული, — ამბობს ერთ-ერთი კორეელი ქალბატონი, რომელიც საკუთარი ქალიშვილისა და 4 წლის ბიჭის „გაწელვაში“ ყოველთვიურად 770 დოლარს იხდის. აქაურ მშობლებს ურჩევნიათ, შვილებს სიმაღლეში 10 სანტიმეტრი მაინც მოუმატონ, ვიდრე მათ მილიარდიანი ქონება დაუტოვონ. როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კორეაში კარგი სიმაღლე მოდაში დასავლურ კულტურასა და აქაურ სილამაზის სტანდარტებთან ერთად შევიდა. სიდაბლე ახლა უკვე პრობლემად ითვლება. თუმცა, „სიმაღლეში გაწელვის“ პოპულარობის მიუხედავად, მეცნიერები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ მსგავს მეთოდებს და მათ ეფექტურობასაც ეჭვქვეშ აყენებენ.

## ნანომცენარე – სმარტფონების დამტენი

ნანოხეები უკვე აღარ არის „შერეკილი“ მეცნიერ-ენთუზიასტების ფანტაზიის ნაყოფი: „მზიური“ მცენარე სან-დიეგოს კალიფორნიის უნივერსიტეტის ხელმარჯვე სტუდენტებმა შექმნეს. სკულპტურა მოძრავ კარკასს წარმოადგენს, რომელზეც ფოტოელემენტებიანი 27 პანელი მაგრდება და რომელიც აკუმულატორს კვებავს. დაგროვილი მუხტი საკმარისია იმისთვის, რომ 9-ჯერ სრულყოფილად დატენოს **iPhone** 5, 7-ჯერ — **Samsung Galaxy S3** ან 2-ჯერ — **iPad** 2. თავად ხის ელემენტის დასატენად დაახლოებით, 36 საათია საჭირო, რის შემდეგაც ნანომცენარე კვლავ მზად იქნება, უფასო ენერგია მიაწოდოს მობილურ ტექნიკას **USB**-სადენის ან უსადენო მოწყობილობის მეშვეობით.



## სოიო მკერდის კიბოს წინააღმდეგ



ჩინელი ონკოლოგების ბოლო გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სოიო სასარგებლოა ქალებისთვის, რომელთაც სარძევე ჯირკვლის კიბო აქვთ. მედიკოსებმა 20-დან 75 წლამდე ასაკის, 5 ათასამდე მანდილოსანი გამოიკვლიეს, რომელთაც ამ დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. მათგან 444 გარდაიცვალა, 534-ს კი სიმსივნე კვლავ გაუჩნდა. გამოკვლევისას გაირკვა, რომ იმ ქალებში, რომელთა რაციონში სოიოს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, სიკვდილიანობა 29%-ზე ნაკლები იყო, დაავადების რეციდივი კი — 32%-ში. თუმცა, ექიმები აცხადებენ, რომ უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული განსხვავება სოიოს პროდუქტების ხარისხში, სახეობასა და რაოდენობაში. მაგალითად, სუსტი სქესის ჩინელი წარმომადგენლები დღეში, საშუალოდ, 47 მგ სოიოს მიირთმევენ, ამერიკელები კი — მხოლოდ 1-დან 6 მგ-მდე.

## სისხლის ჩაბარება სასარგებლო ყოფილა

როგორც აღმოჩნდა, სისხლის ჩაბარება არა მხოლოდ საპატიო, არამედ სასარგებლოც ყოფილა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დონორები ხუთი წლით უფრო დიდხანს ცხოვრობენ. სისხლის ჩაბარების შემდეგ მათ ინფარქტის, ინსულტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი უმცირდებათ. ეს კი იმის გამო, რომ ათეროსკლეროზის გამომწვევი მავნე ნივთიერებები ვერ ახერხებს სისხლში დაგროვებას, თუკი ადამიანი რეგულარულად აბარებს სისხლს. გაირკვა ისიც, რომ დონორების ორგანიზმი გაცილებით სწრაფად ახდენს განახლებას და გაახალგაზრდავებას. გარდა ამისა, ასეთ ადამიანებს სისხლის ჩაბარებამდე გამოკვლევებს უტარებენ, რაც საშუალებას იძლევა, დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოავლინონ და იმკურნალონ. სისხლის ჩაბარებისას კი დაინფიცირების შიში არ უნდა გვქონდეს, რადგან დღესდღეობით ყველა ნორმალურ კლინიკაში ერთჯერად, სტერილურ საშუალებებს იყენებენ.


შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოვლთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოვლთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

**ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598**

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!




# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 6 | 5 | | 4 | | |
| 6 | 5 | | | | | 1 | | |
| | | | | | 8 | | | |
| | | | | 8 | 2 | 9 | | 7 |
| 2 | | 9 | | 7 | | 8 | | 3 |
| 8 | | 5 | 9 | 4 | | | | |
| | | | 7 | | | | | |
| | | 3 | | | | | 8 | 9 |
| | | 2 | | 3 | 9 | | | 5 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | | 8 | 3 | |
| | | | 3 | | 6 | 1 | | |
| | | | | 9 | | 4 | | |
| 3 | | 6 | | | | | 8 | |
| 2 | | 8 | | | | 3 | | 7 |
| | 7 | | | | | 6 | | 9 |
| | | 1 | | 4 | | | | |
| | | 5 | 7 | | 2 | | | |
| | 4 | 3 | | | 9 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | | 9 | | |
| 3 | | | 1 | | 7 | | | 5 |
| 2 | | | 8 | | | 4 | | |
| 8 | | | 9 | | 6 | 5 | | |
| 1 | | | | | | | | 6 |
| | | 9 | 5 | | 8 | | | 1 |
| | | 2 | | | 3 | | | 4 |
| 6 | | | 4 | | 9 | | | 8 |
| | | 8 | | | | 7 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 7 | 5 | | 4 |
| | | | | 3 | | | 1 | |
| | | | 1 | 6 | 5 | | | 9 |
| 9 | | 1 | | | | | 7 | |
| 5 | 4 | | | | | | 9 | 8 |
| | 8 | | | | | 3 | | 1 |
| 4 | | | 8 | 7 | 3 | | | |
| | 5 | | | 9 | | | | |
| 7 | | 3 | 5 | | | | | |

## კოცნა დაავადებებისგან გვიცავს



ვნებიანი ამბორი დაავადებებისგან გვიცავს, — აცხადებენ ბრიტანელი მეცნიერები, რომელთაც ამ მხრივ, შესაბამისი კვლევა ჩაატარეს. ადამიანის იმუნურმა სისტემამ დიდი ხანია ისწავლა ციტომეგალოვირუსთან გამკლავება, რომელიც ნერწყვში ხვდება. როგორც წესი, ის არავითარ პრობლემას არ იწვევს. თუმცა, ეს ვირუსი საშიშია ქალებისთვის, ფეხმძიმობის პერიოდში, რადგან შეუძლია ნაყოფის სიკვდილი გამოიწვიოს ან თანდაყოლილი დეფექტების (სიყრუე და ცერებრალური დამბლა) პროვოცირება მოახდინოს. გამუდმებული კოცნა, რასაც მამაკაცი ერთსა და იმავე ქალს ჩუქნის, ეფექტური აცრაა, ნერწყვის გაცვლის მეშვეობით, ციტომეგალოვირუსის წინააღმდეგ, — ამტკიცებენ ლიდსის უნივერსიტეტის სპეციალისტები. მათი თქმით, ლაპარაკია ვირუსის სპეციფიკურ „მამაკაცურ“ ვარიანტზე. ადრეული გამოკვლევებით კი, ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ კოცნის რიტუალი ადამიანს განუვითარდა, როგორც ევოლუციური „ხარისხის კონტროლის“ ერთ-ერთი ფორმა, როცა ნერწყვის მეშვეობით გადაეცემა „ინფორმაცია“ მემკვიდრეობითობის, ჯანმრთელობისა და გენების შესახებ.

## მარწყვი სიბერეს აჩერებს?



ესპანელი და იტალიელი სწავლულების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ მარწყვს შეუძლია დაბერების პროცესი შეაჩეროს და ის სიმსივნისგან დაიცვას. მიზეზი კი ის არის, რომ ეს ხილი სისხლში ანტიოქსიდანტების დონეს ზრდის. როგორც ცნობილია, ანტიოქსიდანტები ორგანიზმში დამჟანგავ პროცესებს ებრძვის და კიბოს, დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების წარმოქმნის ალბათობას აქვეითებს. მეცნიერებმა მარწყვის თვისებები ჯანმრთელ მოხალისეებზე შეამოწმეს — მათ ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად 500 გრამ ხილს აძლევდნენ. 4, 8, 12 და 16 დღის, ასევე ერთი თვის შემდეგაც მათი სისხლის ნიმუშები შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ მარწყვი არა მხოლოდ ზრდის ანტიოქსიდანტების რაოდენობას, არამედ ჰემოლიზსაც (წითელი უჯრედების დაშლა) აღკვეთს. გრენადის უნივერსიტეტის თანამშრომლები კი ირწმუნებიან, რომ მარწყვის ძალა მასში ფენოლნაერთების მაღალი კონცენტრაციით აიხსნება, რომელსაც ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს.

## ავტომატი წიგნებით ვაჭრობს

ელექტრონული წიგნებისა და პლანშეტების ეპოქაშიც კი, წიგნის მაღაზიები არ წყვეტენ არსებობას. სწორედ ამ მაღაზიების კლიენტთათვის და კითხვის მოყვარულებისთვის გამოიგონეს სავაჭრო ავტომატი, სახელწოდებით **Biblio-Mat**, რომელიც სიმბოლურ ფასად — 2 დოლარად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, მასში მოთავსებულ სხვადასხვა ჟანრის წიგნებს ყიდის. **Biblio-Mat** კრეატიულმა კომპანიამ **Craig Small** გამოიგონა. სავაჭრო ავტომატი კანადაში, ტორონტოს ერთ-ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში დგას. მისმა შემქმნელმა კომპანიამ სრულყოფილად ავტომატიზირებული მექანიზმი შექმნა, რომელიც ავტომატში ფულის ჩაგდების შემდეგ, წიგნს მყიდველს მიაწვდის. ავტომატი ახალი პროდუქციით პერიოდულად უნდა შეივსოს.




## საუკეთესო ცოლები აზიელები არიან

ბოლოდროინდელი გამოკითხვების მიხედვით დადგინდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო მეუღლეები აზიელი ქალები არიან. ამის თაობაზე ათასობით რესპონდენტმა მამაკაცმა განაცხადა. მათი თქმით, აზიელი მანდილოსნები საკმაოდ მომხიბვლელები, მშვიდები, გაწონასწორებულები და კარგი მეოჯახენი არიან. აქვთ კარგი მანერები და ყველაზე კარგად აქვთ გაცნობიერებული, რა ფუნქცია აკისრია ოჯახში ცოლს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სუსტი სქესის აზიელი წარმომადგენლები დიდ დროს უთმობენ მეუღლისა და შვილების მოვლას, უანგაროდ ეხმარებიან ქმრის ნათესავებსაც. კაცების თქმით, მათი ერთ-ერთი დადებითი თვისება ისიც არის, რომ ოჯახში ფინანსური კრიზისის შემთხვევაშიც კი სიმშვიდეს ინარჩუნებენ. გამოკითხვისას ისიც გაირკვა, რომ აზიელი ქალბატონები გულწრფელები არიან და ხშირად, ქმარ-შვილის გამო, პირად კომფორტზე უარს ამბობენ. ასევე გამოირჩევიან ერთგულებითაც, — აღნიშნეს რესპონდენტებმა.






## საპარსი კრემი ბეკონის სურნელით

ორმა ამერიკელმა მეწარმემ — ჯასტინ ეშმა და დევიდ ლეფკოვმა წვერის საპარსი კრემი შექმნეს, რომელსაც ბეკონის არომატიც აქვს. გაყიდვაში სულ ასეთი ორიგინალური კრემის შეზღუდული რაოდენობა — 2500 ქილა გამოვიდა. მეწარმეები კლიენტებს ურჩევენ, წვერის გასაპარსად სწორედ მათი გამოგონება აირჩიონ, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ პაემანზე მიდიან. მათი განცხადებით, ბეკონის სურნელიანი საპარსი კრემი სუსტი სქესის არც ერთ წარმომადგენელს გულგრილს არ დატოვებს. არსანიშნავია, რომ კრემი ჯასტინისა და დევიდის შექმნილი პირველი პროდუქტი არ არის. მწარმოებელთა კრეატიულმა დუეტმა უკვე გამოუშვა ასევე ბეკონისსურნელიანი ტუჩის ბალზამი.

## თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე ეროვნული არქივის საგანძურიდან ოთხი ფილმის ჩვენება გაიმართა



თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ეროვნულმა არქივმა კინოთეატრ რუსთაველის მეხუთე დარბაზში უხმო კინოს პერიოდში გადაღებული ოთხი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება გამართა. ფილმები ცოცხალი მუსიკით გააფორმეს რეზო კიკნაძემ და ანსამბლმა „ჩონსილია“.

ასული საუკუნის 20-30-იან წლებში გადაღებულმა ნამუშევრებმა მაყურებელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია და ჩვენებამ ანშლაგით ჩაიარა.

ფესტივალისთვის შერჩეული იყო ფილმები „კულტურფილმის“ ჟანრიდან, რომელსაც აერთიანებს კონცეფცია „სხეული/მანქანა“. ფილმებიდან ორი კოტე მიქაბერიძისა და ვასილ დოლენკოს „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“ (1930 წელი) სიკო დოლიძის „მიწის ძახილი“ (1928 წელი) ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკისთვის ძალიან აქტუალურ თემას, კოლექტიურ მეურნეობებში სამუშაო პროცესის მექანიზაციას და შრომის ახლებურ განაწილებას ეხება. ორიც, ვახტანგ შველიძის „კოლმეურნის ჰიგიენა“ (1934 წელი) და ალექსანდრე ჯალიაშვილის „დილის ათი წუთი“ (1932 წელი) ასახავს სახელმწიფო პოლიტიკას სხეულის გაჯანსაღების საკითხებში.

*მედიანიუსი*





## ქართველი მხატვრების ნამუშევრებს სოთბის აუქციონის გამოფენა-გაყიდვაზე გაიტანენ

სამი ქართველი მხატვრის — ირაკლი ფარჯიანის, მერაბ აბრამიშვილისა და კოტე სულაბერიძის ნამუშევრებს სოთბის აუქციონის გამოფენა-გაყიდვაზე გაიტანენ. როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ „ბაია გალერეადან“ აცნობეს, 2013 წლის 4-12 მარტს, ლონდონში, სოთბის აუქციონის გალერეაში გაიმართება კავკასიის და ცენტრალური აზიის თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, სახელწოდებით „გზაჯვარედინზე“ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი) გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ამ რეგიონების სახვითი და ვიზუალური ხელოვნება 1960-იანი წლებიდან დღემდე. გამოიცემა კატალოგი, დაგეგმილია საინფორმაციო პროგრამა.



„ბაია გალერეა“ ამ გამოფენაზე წარადგენს სამ მხატვარს: ირაკლი ფარჯიანს, მერაბ აბრამიშვილს, კოტე სულაბერიძეს.

2012 წლის 8-12 დეკემბერს „ბაია გალერეის“ საგამოფენო დარბაზში (თბილისი, შარდენის ქ.10) შეგიძლიათ დაათვალიეროთ ის სამი ნამუშევარი, რომელიც მარტში ექსპონირებული იქნება ლონდონში, სოთბის გალერეაში (34-35 ξჭ ჭξ შთღ.), გამოფენაზე „გზაჯვარედინი“.

პროექტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის საქართველოს პირველი რეგიონული მონაწილეობა სოთბის აუქციონის გამოფენაზე. (კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ, რომ არის არა აუქციონი, არამედ გამოფენა-გაყიდვა, რომელსაც მართავს სოთბის აუქციონი).

*„ჯი-ეიჩ-ენი“*





გთხოვთ დარეკოთ




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


იკითხეთ თქვენი www.versia.ge

# ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net; dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით